ქართულ-ამერიკული
უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა
2021 – 2027

შინაარსი

I. შესავალი 8

II. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და პროცესი 9

2.1. შემუშავების მეთოდოლოგია 9

2.2. დაგეგმვის პროცესი 19

2.2.1. დაგეგმარების და მისი შედეგის კონტექსტის გააზრება 19

2.2.2. საუნივერსიტეტო პროცესების ანალიზი და ჩართულობა 20

2.2.3. გამოწვევებისა და შესაძლებლობების საბოლოო ფორმირება და შეთანხმება 21

2.2.4. საჯაროობა, ხელმისაწვდომობა, უკუგება 21

2.2.5. ჯგუფის შემადგენლობა 21

2.2.6. დაგეგმარების დროს გათვალისწინებული სამართლებრივი და პოლიტიკური დოკუმენტები 22

2.2.7. სტრატეგიული დაგეგმარების/გეგმის განსაკუთრებული ნაწილი 23

III. სტრატეგიული გეგმის შესრულებისა და განვითარების მონიტორინგი 25

IV. არსებული ვითარების მიმოხილვა 28

V. უნივერსიტეტის სამოქმედო საგანმანათლებლო გარემოს შეფასება და სტრატეგიული გამოწვევები 30

5.1. შიდა საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება 30

VI. GAU-ს მისია, ხედვა, ღირებულებები 31

6.1. მისია 32

6.2. GAU-ს ხედვა 32

6.3. ღირებულებები 32

VII. GAU-ს სტრატეგიული პრიორიტეტები 2021-2027 35

1. პრიორიტეტი - ხარისხიანი და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობა 35

1.1.სტრატეგიული მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნისა და პროფესიული გამბედაობის გამომუშავებას; 35

1.1.1.პროგრამის სწავლის შედეგების მუდმივი რელევანტურობის უზრუნველყოფა კონკრეტულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან; 36

1.1.2.პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისობის მუდმივი მონიტორინგი 36

1.1.3.დარგობრივი მახასიათებლისა და პროგრამების სწავლის შედეგების და მათი გონივრულ ვადაში მიღწევადობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი; 36

1.2. სტრატეგიული მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია და მათი შესაბამისობა თანამედროვე საზოგადოებრივ და საბაზრო მოთხოვნებთან;..... 36

1.2.1. არსებული და მომავალში ინიცირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მიერ იმ მოთხოვნათა გათვალისწინება (საკვალიფიკაციო, საზოგადოებრივი, კვლევითი და დასაქმების ბაზრის) და უზრუნველყოფა, რომელთა საშუალებით კურსდამთავრებული შეძლებს თავისი პირადი და საზოგადო მიზნები ადვილად დაუკავშიროს ტექნოლოგიურ განვითარებას და განსაზღვროს თავისი მთავარი როლი თანამედროვე სამყაროს მოდერნიზაციის პროცესში; 36

1.2.2. უნივერსიტეტის როლის გაზრდა სწავლების და კვლევის საშუალებით, შესაბამისი პასუხისმგებლობის გადაცემით, ხელი შეუწყოს საზოგადოებას თანამედროვე მოთხოვნებისადმი ადაპტირებაში;..... 37

1.2.3. ცოდნის გავრცელების სასაზღვრო ბარიერების, პანდემიების და სხვა წინააღმდეგობების/საფრთხეების დაძლევის და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაცია და განვითარება;..... 37

1.2.4. თანამედროვე შრომის და დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი პროგრამების დამატება 37

1.3. სტრატეგიული მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა 37

1.3.1. ეროვნულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად თანამშრომლობის ოპტიმიზაცია, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების გაფართოება;..... 38

1.4. სტრატეგიული მიზანი - მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა..... 38

1.4.1. უნივერსიტეტში არსებული სერტიფიცირებული კურსების მოდერნიზაცია და გაფართოება..... 38

1.4.2 სასერტიფიკატო სისტემის ოპერირება და განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების და საგანმანათლებლო სექტორის ურთიერთკავშირის რეალიების გათვალისწინებით, ახალი პროგრამების/კურსების დამატების გზით..... 38

1.4.3 საკუთრივ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და თანამშრომლებისათვის შემდგომი პროფესიული და პიროვნული განვითარებაზე ორიენტირებული შესაბამისი აქტივობების ორგანიზება..... 39

1.5 სტრატეგიული მიზანი - პროფესიული უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიური სრულყოფა და გაძლიერება..... 39

1.5.1. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, უცხო ენის/ენების, მათ შორის პროფესიული ინგლისური ენის სწავლების მუდმივი მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი სრულყოფის მონიტორინგის ღონისძიებები. 39

1.6 სტრატეგიული მიზანი - სწავლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი..... 39

1.6.1. სასწავლო პროცესის გაძლიერება და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება 39

1.6.2. სწავლის შედეგების მიღწევის მაჩენებლების ზრდა..... 40

1.6.3. სწავლების ხარისხის მაჩვენებლების გაძლიერება 40

1.7 სტრატეგიული მიზანი - მაღალი ხარისხის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის და ჩართულობის ხელშეწყობა და გაუმჯობესება პანდემიის ვითარებაში; 40

1.7.1. ონლაინ სწავლების გამოცდილების გაუმჯობესება და პანდემიური მართვა; 40

2. პრიორიტეტი - კვლევითი საქმიანობა 40

2.1. სტრატეგიული მიზანი - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და გაფართოება 41

2.1.1.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არსებული საუნივერსიტეტო სტანდარტების განვითარება, მინიმალური საუნივერსიტეტო სტანდარტის დადგენით კვლევითი სუბიექტების აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის ხელშეწყობა. 41

2.1.2. შესრულებული კვლევითი შედეგების ხარისხის ამაღლება და მონიტორინგი 41

2.1.3. აკადემიური კეთილსინდისიერების და აკადემიური თავისუფლების სტანდარტების განმტკიცება და უზრუნველყოფა. 41

2.1.4. უნივერსიტეტის სამეცნიერო რესურსის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს სხვადასხვა დონის და მასშტაბის გამოწვევებზე ორიენტირებული კვლევების განხორციელებაში. 42

2.1.5. კვლევითი პროექტების ინიცირების და კვლევაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება 42

2.1.6. ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზების გაძლიერება და მათი გამოყენების წახალისება 42

2.2. სტრატეგიული მიზანი - სამეცნიერო-კვლევითი შედეგების გამოყენებითი მნიშვნელობის გაზრდის, კვლევის კომერციალიზაციის და გავრცელების მიზნით კონტაქტების გაზრდა კერძო, სამთავრობო და არასამთავრობო, სხვა არა საუნივერსიტეტო ცენტრებთან (სუბიექტებთან) 42

2.2.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრების ხელშეწყობა აწარმოონ ერთობლივი სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა შესაბამის ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან 42

2.2.2.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ახალი და ნოვატორული ხერხების გამოყენება და მათი საშუალებით დისციპლინათაშორისი მოკლევადიანი სამეცნიერო ჯგუფების და კლასტერების შექმნის ხელშეწყობა 43

2.2.3. პროექტების ფარგლებში, არსებული კვლევითი ინსტიტუტების და სამეცნიერო ჯგუფების ხელშეწყობა, რაც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს დროული და ადექვატური რეაგირებისათვის დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში პრობლემური საკითხების და თემების მიმართ 43

2.2.4. აკადემიური კვლევის მნიშვნელობის და საჭიროების, მეცნიერების და კვლევის პოპულარიზაცია. 43

2.2.5. საზოგადოების სამოქალაქო, ეკონომიკური, ინტელექტუალური და კულტურული ზრდის მხარდასაჭერად უნივერსიტეტის მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების უზრუნველყოფა;.....43

2.3. სტრატეგიული მიზანი - სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო პროცესის მაქსიმალური ინტეგრაციის ხელშეწყობა.....44

2.3.1. კვლევითი კომპონენტების გაძლიერება პირველი და მეორე საფეხურის პროგრამებისთვის.....44

2.3.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების და სადოქტორო კვლევების ხარისხის ამაღლება;.....44

2.3.3. კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების სისტემის გაუმჯობესება;.....44

2.3.4. კვლევის შედეგების და კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის ინტეგრირება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში.....44

2.4. სტრატეგიული მიზანი - კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა 45

2.4.1. სამეცნიერო-აკადემიური პერსონალისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა.....45

2.5. სტრატეგიული მიზანი - კვლევითი საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა პანდემიური და სხვა რისკების კვლევითი მენეჯმენტის მხარდაჭერის გზით;.....45

2.5.1. კვლევითი ჯგუფების მიერ კვლევითი საქმიანობის ონლაინ ადაპტაცია და ჰიბრიდული მეთოდის გამოყენება;.....45

3. პრიორიტეტი - სტუდენტური ცხოვრებისა და კარიერული სერვისების ეფექტური სისტემის მხარდაჭერა და გაძლიერება.....45

3.1. სტრატეგიული მიზანი - უმაღლესი განათლება და დასაქმება.....46

3.1.1. პროფესიული გამბედაობისა და სამუშაო კომპეტენციების უნარების გაღრმავება.....46

3.1.2. მეწარმეობის სულისა და გამოცდილების კულტივირება.....46

3.1.3. თვითდასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების განვითარება.....46

3.2.4. სტუდენტების კვლევითი გარემოსა და სასწავლო პროცესის მართვის ლოგიკურ და მჭიდრო ნაწილებად განვითარების ხელშეწყობა;.....46

3.2. სტრატეგიული მიზანი - სტუდენტური ადაპტაციისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების მუდმივი განვითარება და მხარდაჭერა;.....47

3.2.1. სტუდენტთა ჩართულობის მოტივაციის გაზრდა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.....47

3.2.2. სტუდენტის ჩართულობის გაზრდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.....47

3.2.3. მატერიალური, ფინანსური და ინფორმაციული რესურსების გაძლიერება რაც მიმართული იქნება სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად;.....47

3.2.4. სტუდენტთა უფლება-მოვალეობების და თავისუფლებების სისტემის მუდმივი სრულყოფა და მხარდაჭერა;.....48

3.2.5. სტუდენტთა საერთაშორისო კომუნიკაციისა და ხელმისაწვდომობის გაძლიერება 48

3.2.6. იმ იდეალების დანერგვა და განმტკიცება რაც უზრუნველყოფს GAU-ში მრავალფეროვანი, ყველასთვის თანასწორი და ინკლუზიური გარემოს შექმნას და პატივისცემას;..... 48

3.2.7. სოციალურად დაუცველი, სხვა მოწყვლადი ჯგუფების და წარჩინებული სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება..... 48

3.3. სტრატეგიული მიზანი - სტუდენტური ცხოვრების და ჩართულობის პერმანენტული ადაპტირება პანდემიურ გამოწვევებზე; 49

3.3.1. სტუდენტების სწავლების პროცესში ონლაინ გამოცდილების განვითარება და მათი საჭიროებათა დაკმაყოფილება. ასევე, მათი ჩართვა სამეცნიერო-კვლევით პრაქტიკაში. 49

3.4. სტრატეგიული მიზანი - სტუდენტთა სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და ეფექტური მხარდაჭერა 49

3.4.1. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის, როგორც „მეტი ვიდრე ქველმოქმედება“ ფილოსოფიის დანერგვა და მხარდაჭერა; 49

4. სტრატეგიული პრიორიტეტი - ორგანიზაციული განვითარება 49

4.1. სტრატეგიული მიზანი - მისიაზე ორიენტირებული ინსტიტუციონალური სტაბილურობის და ინსტიტუციის მართვის პროცესის ეფექტურობის ხარისხის გაზრდა 49

4.1.1. უნივერსიტეტის როგორც ერთიანი საგანმანათლებლო სივრცისა და საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის გაძლიერება-განმტკიცება მრავალფეროვნებისა და ინტეგრაციის გზით. 50

4.1.2. მართვის არსებული მოდელის და პრაქტიკის ეფექტურობის მუდმივი გაზრდა, მაღალი ორგანიზაციული და აკადემიური კულტურის შექმნა და განხორციელება. 50

4.1.3 ხარისხის მართვისა და განვითარების სისტემის სრულყოფა და დეცენტრალიზაცია 50

4.1.4. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და პრინციპების ადაპტაცია/შესაბამისობა ლოკალურ და საერთაშორისო (ბოლონიის სივრცე) სტანდარტებთან და პრინციპებთან. 51

4.1.5. ხარისხის შიდა მექანიზმის პოლიტიკისა და კულტურის, როგორც მენეჯმენტის ორგანული ნაწილის განმტკიცება და შედეგების იმპლემენტაციის მონიტორინგი..... 51

4.1.6. ინფორმაციული და საკომუნიკაციო რესურსების გამოყენების ხარისხის გაუმჯობესება ინსტიტუციის მართვაში..... 52

4.1.7. საქმისწარმოების ეფექტური ელექტრონული სისტემის შექმნა და დანერგვა..... 52

4.1.8. სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გლობალურად განხორციელების შესაძლებლობების გაზრდა დისტანციური სწავლების გაძლიერების გზით. 52

4.1.9. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება 52

4.1.10. უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლება რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე 53

4.1.11. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმის გაუმჯობესება შიდა და გარე ფაქტორებისა და რისკების გათვალისწინებით. 53

4.1.12. კურსდამთავრებულთა მონაწილეობის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო/სასკოლო გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურების საქმიანობაში. 53

4.2. სტრატეგიული მიზანი - ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის, ფინანსური და მატერიალური რესურსების გაუმჯობესება 54

4.2.1. აკადემიური თავისუფლების, ინსტიტუციური ავტონომიურობის, ფუნდამენტური უფლებების პატივისცემაზე დამყარებული საკადრო უზრუნველყოფა და ორგანიზაციული კულტურის დამკვიდრება; 54

4.2.2. უნივერსიტეტის თანამშრომელთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სისტემის სრულყოფა 54

4.2.3. უნივერსიტეტის ინსტიტუციური თვითშეფასების, თვითკორექტირების და კორპორაციული კულტურის განვითარება 54

4.2.4. უნივერსიტეტის პერსონალის მართვის ეფექტური განხორციელება მდგრადი განვითარებისათვის პერსონალის როგორც შიდა ისე გარე რეკრუტირების გზით 54

4.2.5. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და სხვა დასაქმებული პირების მოტივაციის გაზრდა, პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, როგორც კადრების შრომის ნაყოფიერების და ინსტიტუციის ეფექტიანობის ღონისძიებები; 55

4.2.6. უნივერსიტეტის შემოსავლების გაზრდა და ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა 55

4.2.7. უნივერსიტეტის ფინანსების გაფართოება პრიორიტეტული და წამყვანი პროექტებისა და ინიციატივების ეფექტური და გამჭვირვალე მხარდამჭერი მექანიზმებით სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიზნების მისაღწევად; 55

4.2.8. საბიბლიოთეკო და სხვა სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკული დანიშნულების რესურსების გაძლიერება და მხარდაჭერა; 56

4.2.9. უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის (უძრავი და მოძრავი ქონების) შენარჩუნება/განახლება/გაუმჯობესება სასწავლო და კვლევით მიზნებთან და საჭიროებებთან მიმართებით; 56

4.3. სტრატეგიული მიზანი: ინსტიტუციონალური გაძლიერება და ადაპტაცია ახალ გამოწვევებზე; 56

4.3.1. პერსონალური ონლაინ კომუნიკაციების გაძლიერება და უნივერსიტეტის ელექტრონული მენეჯმენტის მხარდაჭერა; 56

4.4. სტრატეგიული მიზანი - კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა 57

4.4.1. ეფექტური სოციალური პასუხისმგებლობის მოდელის დანერგვა და განვითარება 57

4.4.2. სოციალური ინტეგრაცია და მონაწილეობის გაფართოება 57

VIII. GAU-ს სკოლები და სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაცია 57

1. სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა 58

2. ბიზნესის სკოლა 76

3. მედიცინის სკოლა 93

4. ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა 107
5. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა 123

I. შესავალი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU) წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმაში მოიაზრება როგორც თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე მოქმედი ერთ-ერთი წარმატებული სასწავლო-სამეცნიერო და ბიზნეს სუბიექტი. უნივერსიტეტი, რომელიც თავისი საზოგადოებრივი მისიიდან გამომდინარე, მისი საქმიანობით გამუდმებით მზადაა იყოს ერთგული იმ ღირებულებებისა და ამოცანებისადმი, რომელიც დგას ჩვენი საზოგადოების წინაშე. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი მზადაა და ცდილობს აიღოს ის პასუხისმგებლობა რაც მომდინარეობს ჩვენი ქვეყნის, საზოგადოების ისტორიული ამოცანებიდან, წარმატებით იქნეს გამოყენებული ქვეყნის გენეტიკურად ყველაზე ძლიერი, ინტელექტუალური რესურსი, ქვეყნის მომავალი ინტეგრაციული და წარმატებული განვითარებისათვის.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის აკადემიური მისწრაფება და შესაბამისი წარმატებები განპირობებულია მისი შემადგენელი ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო ერთეულების - სკოლების წარმატებულობით, რომელთაგან უმეტესმა უკვე მიაღწია მნიშვნელოვან წარმატებებს როგორც საგანმანათლებლო, ისე დასაქმების ბაზარზე. შესაბამისად, უნივერსიტეტის განვითარების ერთ-ერთი სტრატეგიული მაგისტრალი სწორედ GAU-ს სკოლების საუნივერსიტეტო და უნივერსიტეტს გარეთ საქმიანობისათვის ორგანიზაციული, მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერა და განვითარებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, GAU-ს სტრატეგიული განვითარება მოიცავს როგორც შიდა, ისე ქვეყნის წინაშე არსებული ინტეგრაციული პროცესების ამოცანიდან გამომდინარე, რეგიონალურ და გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში გასვლას და ორიენტირებას, შესაბამისი ბაზრებისათვის მისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროდუქტის წარმატებულ შეთავაზებას. შესაბამისად, უნივერსიტეტის საქმიანობა ზოგადად და მისი სტრატეგიული განვითარება და ლოგიკა ვითარდება, ამ საქმიანობისა და შესაბამისი გეგმების შესრულების ცენტრალიზებული მხარდაჭერის მნიშვნელობის და წილის მიზანშეწონილობით, შესაბამისი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით; ცენტრალურია საკითხი ინტეგრირებული მხარდაჭერის შესახებ თუ როგორ ხორციელდება მხარდაჭერა და კოორდინაცია უნივერსიტეტს, როგორც ერთიან მთელს, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის.

ამასთან, მოცემული სტრატეგიული გეგმა, ერთის მხრივ, ეფუძნება ცალკეული სკოლების პროდუქტს და აქტივობას, მათ მიღწევებს და მეორეს მხრივ, ამ ყველაფერზე დაყრდნობით სცილდება სკოლების აქტივობის დიაპაზონს და მოიცავს აქტივობას, რომლებიც ორიენტირებულია იმ ტიპის მომსახურებაზე, რაც ნათლად აჩვენებს უნივერსიტეტის, როგორც ერთი მთლიანობის მისწრაფებას, მისი ინსტიტუციების მიერ მიღწეული შედეგების უფრო ფართოდ გამოყენების შესახებ და ზრდის უნივერსიტეტის, როგორც თანამედროვე აკადემიური დაწესებულების, დანიშნულებას და მოთხოვნილებას საზოგადოებრივი მისიის შესასრულებლად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმაშიც და რეალურ საუნივერსიტეტო ცხოვრებაშიც ნათლად აჩვენებს უნივერსიტეტის როგორც ერთიანი ორგანიზმის სინთეზს ქვემოდან ზემოთ და პირიქით, რაც ზრდის მისი მოქნილობისა და

შემოქმედებითობის დინამიკას. ეს დინამიკა, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ზოგადად უნივერსიტეტის მობილურობას და ადეკვატურობას ყველა იმ ამოცანის მიმართ რასაც სახავს, როგორც საკუთრივ ქართული სინამდვილე, ასევე ის ინტეგრაციული და გლობალური გამოწვევები, რომელშიც საქართველო ჩართულია სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით.

GAU-ს განვითარების სტრატეგიული გეგმის შედგენა მისი ინსტიტუციონალური ერთობის და ავტონომიურობის ფარგლებში მნიშვნელოვან გარანტიას იძლევა, რომ უნივერსიტეტმა ნათლად გაიაზრა და შექმნა გარანტირებულად ხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება, მისი მუდმივი განვითარების და ინტეგრირებულობის პერსპექტივით.
წინამდებარე დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს უნივერსიტეტის განსაკუთრებული როლი უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. ხაზი გაუსვას და მაქსიმალურად საჯარო გახადოს ის ღონისძიებები და საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც უნივერსიტეტს შეუძლია თავის წვლილი შეიტანოს საგანმანათლებლო მომსახურების სფეროში და ამის საშუალებით საზოგადოების განვითარებაში. ამ კონტექსტში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სწავლის ევროპული მოდელების და შესაბამისი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის გაფართოება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მიზნით, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საუნივერსიტეტო საქმიანობისა და ცხოვრების სინერგიის შექმნას. ხოლო ყოველივე ეს მიმართული უნდა იქნეს როგორც სტუდენტზე, ისე მთლიანად საზოგადოებაზე.

II. სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და პროცესი

2.1. შემუშავების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ახალი სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებისათვის უნივერსიტეტმა ყველა სტრუქტურასთან კოორდინაციისა და თანამშრომლობის რეჟიმში მოახდინა გარკვეული პერიოდის შეჯამება და ჩამოაყალიბა სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფი.
ჯგუფი ითვალისწინებდა სტრატეგიული დაგეგმარების ზოგად პრინციპებს, ამასთან ერთად მან, მაქსიმალური შედეგიანობისათვის გაითვალისწინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციულ თეორიაში არსებული „ფილოსოფია“, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც არაკოჰერენტული ორგანიზაცია მრავალფეროვანი და კონკურირებადი სტრუქტურებით. შესაბამისად, ჯგუფი ხელმძღვანელობდა და ორივე აღნიშნული მიდგომით, ცდილობდა მაქსიმალურად მიზანშეწონილად და ადეკვატურად გაეწერა უწყვეტად განვითარებაზე, მაქსიმალურ კოორდინაციაზე და თანამშრომლობაზე ორიენტირებული სტრატეგია.
სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფი ფიქრობდა და ოპერირებდა ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით სამი ძირითადი მიმართულებით - მაკრო, მეზო და მიკრო დონეზე.

მაკრო დონეზე ჯგუფი სხვა კომპონენტებთან ერთად ძირითადად დაეყრდნო:

1. უმაღლესი განათლების დაფინანსების მდგომარეობა ზოგადად ქვეყანაში, (დიფერენციაცია კერძო და სახელმწიფო სექტორის დაფინანსებაში; არსებული დაფინანსების მოცულობა, ზრდის ან კლების ტენდენციები);

უმაღლესი განათლების სექტორის ერთობლივი შემოსავალი 2009-2019 წლებში 251 მლნ ლარიდან 691 მლნ ლარამდე გაიზარდა. შემოსავლის ძირითად წყაროს სწავლის საფასური წარმოადგენს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ინსტიტუტებისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უმაღლესი განათლება საქართველოში, ძირითადად, ჯიბიდან გადახდებით (77% წილი 2019 წელს) ფინანსდება, ხოლო მთავრობის დაფინანსება მცირეა (23%). ერთობლივი შემოსავლის დიდი ნაწილი კი, საჯარო სექტორშია კონცენტრირებული (გრაფიკი 1)*. საკუთრივ, მთავრობის მიერ უმაღლესი განათლების დაფინანსების სიმცირე კარგად ჩანს სხვადასხვა ქვეყნებთან მისი შედარებისას (გრაფიკი 2, 2017 წელი)**.

გრაფიკი 1



გრაფიკი 2



სახელმწიფო ფინანსების განაწილებას საჯარო და კერძო სექტორს შორის.

გრაფიკი 3.1



გრაფიკი 3.2



წყარო:
* https://mof.ge/saxelmwifo_biujeti_wlebis_mixedvit

2. განათლების და მათ შორის უმაღლესი განათლების ადგილი ქვეყნის სოციო-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში;

საქართველოს ეკოსისტემა არ არის მდიდარი ბუნებრივი რესურსებით (ოქრო, ნავთობი, გაზი და სხვა). შესაბამისად, მისი კონკურენტული უპირატესობა მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ რუკაზე ვერ იქნება წარმოდგენილი ზემოაღნიშნულ ბუნებრივ ფაქტორებზე დაყრდნობით. საქართველო, სწორედ ისეთი ქვეყნების რიგს მიეკუთვნება, რომლის ეკონომიკურ დოვლათს არსებითად მომსახურების და ვაჭრობის სექტორი განსაზღვრავს (65% და მეტი *). ამდენად, განათლების, მათ შორის უმაღლესი განათლების როლი და მნიშვნელობა სოციო-ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად, კიდევ უფრო რელევანტური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება.

საქართველოს დეკლარირებული, ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 1996-2019 წლებში 3.8 მილიარდიდან 50 მილიარდ ლარამდე გაიზარდა**. ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა მოსახლეობის მიერ განათლებაზე გაწეული დანახარჯები. კერძოდ, თუკი 1996 წელს განათლების სფეროში აკუმულირებული მშპ 101.3 მილიონ ლარს შეადგენდა, 2019 წელს მისი ზომა გაიზარდა 1.98 მილიარდ ლარამდე (გრაფიკი 4)**. ამასთან, განათლებაზე გაწეული დანახარჯები გაიზარდა არა მხოლოდ აბსოლუტურ რიცხვებში, არამედ რელატიურშიც, როგორც წონა მშპ-ში - თუკი 1996 წელს განათლებაზე გაწეული დანახარჯი მშპ-თან მიმართებაში შეადგენდა 2.6%-ს, 2019 წელს ის გაიზარდა 3.87%-მდე**. ეს მიუთითებს იმაზე, რომ განათლებაზე მოსახლეობის მოთხოვნა მზარდია და ის ეკონომიკის ზრდის პირდაპირპროპორციულად იცვლება. თუმცა, ამ მაჩვენებლით საქართველო ჯერ კიდევ ჩამორჩება ეთგოს (ევროპის თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაცია - OECD) ქვეყნების საშუალო ნიშნულს (იხ. გრაფიკი 5) ***:

გრაფიკი 4



გრაფიკი 5



წყარო:

* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/23/mtliani-shida-produkti-mshp
** https://www.geostat.ge/ka/modules/categories/624/erovnul-angarishta-sistema-1993-eas-1993
*** https://www.oecd.org/education/education-at-a-glance/

უმაღლესი განათლების მიღებას საქართველოში პრაგმატული მიზნების გარდა, გარკვეულწილად, სოციალური მდგენელიც გააჩნია და ამდენად, დიდია მასზე მოთხოვნაც. გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობის შედეგად, უმაღლეს განათლებაში დასწრების მაჩვენებელი 2008-19 წლების განმავლობაში 34.2%-დან 63.9%-მდე (School enrollment, tertiary (% Gross)) გაიზარდა. შედარებისთვის, საინტერესო სურათს გვაძლევს ამ მაჩვენებლით საქართველოს შედარება ეთგო-ს ქვეყნების საშუალოსთან (გრაფიკი 6)*.

გრაფიკი 6



საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის უმუშევრობის დონე წლების განმავლობაში აღემატებოდა ზოგადი განათლების მქონე მოსახლეობის უმუშევრობის დონეს. სხვაობა ბოლო წლებში დრამატულად შემცირდა (გრაფიკი 7)**. მეტიც, უმუშევრობის მაჩვენებელი უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობაში უფრო ნაკლები გახდა. მიუხედავად ასეთი დინამიკისა, აღნიშნული მაჩვენებლით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ეთგო-ს ქვეყნებს (გრაფიკი 8)***.

გრაფიკი7



გრაფიკი 8



წყარო:

* https://data.worldbank.org/indicator/SE.TER.ENRR?locations=GE-OE

** https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.INTM.ZS

*** https://data.worldbank.org/indicator/SL.UEM.ADVN.ZS

3. გეოგრაფიის და დემოგრაფიის, ასაკობრივი ჯგუფების გავლენა უმაღლეს განათლებაზე და უნივერსიტეტის პოზიციონირება ამ მიმართულებით; მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე - კლების ან ზრდის ტენდენციები და უნივერსიტეტის სურათი ამ თვალსაზრისით;

საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა და რეგიონში მისი პოზიციონირება უმაღლესი განათლების მიღების თვალსაზრისით, მეზობელი და არა მხოლოდ მეზობელი ქვეყნებიდან, განათლების მაძიებლებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის (გრაფიკი 9)*.

გრაფიკი 9



საერთაშორისო სტუდენტების რიცხვი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2009-19 წლებში 16-ჯერ - 13.3 ათასამდე გაიზარდა. ბოლო წლებში უცხოელი სტუდენტების დინამიკის კარგი ილუსტრაციაა - გრაფიკი 10 (უცხოელი სტუდენტების ჯამური რაოდენობა წლების ჭრილში, განაწილებული უმაღლესი განათლების საფეხურების მიხედვით)*.

გრაფიკი 10



წყარო:

* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba

საერთაშორისო სტუდენტებში ყველაზე მოთხოვნად პროგრამებს წარმოადგენს ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, სოციალური მეცნიერებები, ბიზნესი და სამართალი (გრაფიკი 11) *.

გრაფიკი 11



აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უცხოელი სტუდენტების წილი საქართველოში მთლიანი ჩარიცხვების 8.7%-ს** შეადგენს, რაც რეგიონის და ევროპის რიგი ქვეყნების მაჩვენებელს აღემატება (გრაფიკი 12) ***

გრაფიკი 12



წყარო:

* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba

** https://galtandtaggart.com/upload/reports/25610.pdf

*** https://data.oecd.org/students/international-student-mobility.htm

ამასთან, უცხოელი სტუდენტები უპირატესობას ანიჭებენ კერძო უნივერსიტეტებს (გრაფიკი 13)*. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშე საგანმანათლებლო სივრცეში, აქტიურად ოპერირებს საერთაშორისო მიმართულებით. ამას ცხადყოფს GAU-ში ბოლო წლებში უცხოელი სტუდენტების წონის დინამიკა მთლიან სტუდენტებში (გრაფიკი 14)**.

გრაფიკი 13



გრაფიკი 14



წყარო:

* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba

** ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მონაცემთა ბაზა

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის, 3.7 მილიონი მოქალაქე*, მიუხედავად, უმაღლეს განათლებაზე მოთხოვნა მაღალია და ის სტაბილური ტენდენციით ხასიათდება. გრაფიკი 15-ზე გამოსახულია უმაღლეს განათლებაზე ლოკალური მოთხოვნა - მითითებულ წლებში

უნივერსიტეტების მიერ სტუდენტების მიღება, ბოლო სამი წლის დინამიკაში სწავლების საფეხურების მიხედვით. **

გრაფიკი 15



როგორც გრაფიკიდან ჩანს, სტუდენტთა ნაკადის უდიდესი ნაწილი კონცენტრირებულია საბაკალავრო საფეხურებზე, სადაც ლოკალური მოთხოვნის ძირითად წყაროს წარმოადგენენ სკოლადამთავრებულები. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია დემოგრაფიული მდგომარეობა და ის ტენდენციები, რომლებიც უმაღლესი განათლების მაძიებელთა ასაკობრივ ჯგუფებში იკვეთება. გრაფიკი 16 ასახავს, თუ როგორ ნაწილდება ქვეყანაში არსებული სტუდენტების რიცხოვნობა მოცემულ ასაკობრივ სეგმენტებზე, ხოლო გრაფიკი 17 კი, დემოგრაფიული დინამიკას ამავე ასაკობრივი სეგმენტების მიხედვით შესაბამისი წლების ჭრილში. **

გრაფიკი 16



წყარო:

* https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

** https://www.geostat.ge/ka/modules/categories/61/umaghlesi-ganatleba

გრაფიკი 17



ზემოაღნიშნული სტატისტიკა მიუთითებს იმაზე, რომ უმაღლეს განათლებაზე ერთობლივ მოთხოვნას (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) არსებითად განსაზღვრავს 18-29 წლამდე ასაკობრივი სეგმენტი.

აღსანიშნავია, რომ 18-20 ასაკობრივი სეგმენტი შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, 21-24 მაგისტრატურას, 24-29 მაგისტრატურას და ნაწილობრივ დოქტორანტურას, 30-34 დოქტორანტურას და ნაწილობრივ მაგისტრატურას. ამავე ასაკობრივი სეგმენტების დემოგრაფიულ სტატისტიკა მეტ-ნაკლებად უცვლელია, რაც ამ თვალსაზრისით სტაბილურ მოლოდინებს ქმნის განათლების ლოკალურ ბაზართან მიმართებაში.

მეზო დონეზე ჯგუფი მუშაობდა უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო სუბიექტის შესახებ ინფორმაციის დამუშავებაზე და სხვა კომპონენტებთან ერთად დაეყრდნო:

1. რა არის GAU-ს როგორც უდს-ს ფილოსოფია და დანიშნულება;
2. რა მოცულობის ინფორმაციას ვფლობთ ჩვენი უნივერსიტეტის და მისი ბაზარზე ოპერირების შესახებ. სად იყრის თავს ეს ინფორმაცია;
3. რა ხერხებს და მეთოდებს ვიყენებთ უნივერსიტეტის როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების შესამოწმებლად;
4. რა ხერხებით და მეთოდებით და ვის მიერ ხდება რისკ-ფაქტორების შეფასება და მართვა;
5. რა მექანიზმები უზრუნველყოფენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიის განხორციელებას;

მიკრო დონეზე შეფასებისას სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი ჯგუფი არსებითად დაეყრდნო შემდეგ კომპონენტებს:

1. ვის მიერ ხორციელდება დაგეგმარების პროცესი;
2. უზრუნველყოფილია თუ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა შესაბამისი წევრის ჩართულობა სტრატეგიის შემუშავების პროცესში;
3. ამ მიმართულებით როგორ კოოპერირებენ უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეულები;

4. უზრუნველყოფილია თუ არა ახალი იდეების, წინადადებების მარტივად მიღება სტრატეგიული გეგმის ცვლილებების შეტანისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის;
5. რა გაზომვადი კრიტერიუმები არსებობს? რომლებსაც ვიყენებთ ინსტიტუციის განვითარების ეფექტიანობისა და ეფექტურობის შესაფასებლად;

სტრატეგიული დაგეგმარების პროცედურული და კონტექსტუალური ორიენტირები მიმართული იყო უნივერსიტეტის მიზნების მიღწევადობისკენ.

2.2. დაგეგმვის პროცესი

განათლების ორგანიზაციის თეორიასა და პრაქტიკაში არსებული ორი ძირითადი გზიდან, უნივერსიტეტის მოცულობის, ჩართულობისა და წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით, მიუხედავად სტრატეგიული განვითარების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის არსებობისა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საუნივერსიტეტო ყველა რგოლის მყარი, ოპერატიული და ყოვლისმომცველი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, შექმნილიყო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი ჯგუფი, რომელიც სტრატეგიული განვითარების სამსახურებთან კოორდინაციაში უზრუნველყოფდა აღნიშნული ამოცანის შესრულებას.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2018 წლის 28 დეკემბრის N02-283 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ჯგუფი, რომელსაც უნდა განეხორციელებინა უნივერსიტეტის 2017-2023 წლების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის გადამუშავება და ახალი რედაქციის ჩამოყალიბება.

წინამდებარე სამოქმედო პერიოდის შესაბამისი სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესმა მოიცვა რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი. უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ 2018 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვალა 2019-2020 სასწავლო წლიდან ახალი რედაქციის, თუმცა პრაქტიკულად ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მიღება. სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობა წარიმართა სტრატეგიული დაგეგმარების შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე, აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლის აქტიური ჩართულობითა და თანამონაწილეობით. სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის პროცესმა ასახა ინსტიტუციის სტრუქტურული კოორდინაციის და პერსონალური თანამშრობლობის პრინციპები და შესაბამისად, წარიმართა გუნდურობის, თანამშრომლობის და მაღალი ჩართულობის პირობებში.

სტრატეგიულმა დაგეგმარების პროცესმა, უნივერსიტეტის როგორც ერთიანი მთელის კოორდინირებულმა და თანამშრომლობითმა პროცესმა, რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი მოიცვა დაგეგმარებასთან დაკავშირებით:

2.2.1. დაგეგმარების და მისი შედეგის კონტექსტის გააზრება

ჩვენი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განვითარება და გამოწვევები, რაც შესაბამისად უპირველესად აისახება უმაღლეს განათლებაზე, გახდა პირობა იმისა, რომ

სტრატეგიული გეგმის სამუშაო ჯგუფს განეხილა და შემდეგ ყველა მიზნობრივ ჯგუფთან თუ პერსონალთან შეხვედრისას ემსჯელა ზოგადი კონტექსტის ანუ იმ რეალიების შესახებ, რაშიც დღეს იმყოფება ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა. ამ თვალსაზრისით განხილული და გათვალისწინებული იქნა შემდეგი საკითხები:

ა. უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის გამოწვევები ქვეყანაში. აქ შესწავლის და განხილვის საგანი იყო ის საკითხები რაც უკავშირდება წინა პერიოდის სააკრედიტაციო და საავტორიზაციო მდგომარეობას. ეს შედარებითობა აჩვენებს რომ წინა საავტორიზაციო და სააკრედიტაციო პერიოდები, და თუ შეიძლება ვთქვათ „თაობები“, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე დაწესებულების ფარგლებში უფრო მრავალფეროვანი გახდა სტუდენტთა კონტინგენტი და დემოგრაფია, შეიცვალა მათი მოთხოვნები, საჭიროებები, ცხოვრებისეული ამოცანები, შესაბამისად მათი შეფასებისა და შედეგზე ორიენტირების მიზნები. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და შესაბამისმა ტექნიკურმა საშუალებებმა განაპირობებს მათი ინფორმაციაზე მისაწვდომობის და საზღვრების გადალახვის შესაძლებლობები განათლებაში.

ბ. ზემოთაღნიშნული განაპირობებს ტემპის დაჩქარებას ყველა გლობალურ, რეგიონალურ და ლოკალურ დონეებზე, რაც გავლენას ახდენს ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე და მის საგანმანათლებლო ფუნქციის მატარებელ აგენტებზე.

გ. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა სწავლის და კიდევ უფრო მომეტებულად, კვლევის დაფინასების არსებული ვითარება ქვეყანაში. როგორც მწირი ეკონომიკის, ისე უმაღლესი განათლების და კვლევის დაფინასების შესაძლებლობების და უფრო მეტად არათანაბარი მიდგომები ამ თვალსაზრისით უმაღლეს განათლებაში არ წარმოშობს მოლოდინს უახლოეს მომავალში მდგომარეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო სექტორს უწევს მორგება დაფინანსების ცვალებად მოდელებზე, ხოლო კერძო სექტორს კიდევ უფრო მეტი ალტერნატიული გზების ძიება.

2.2.2. საუნივერსიტეტო პროცესების ანალიზი და ჩართულობა

დაგეგმარების ამ ეტაპზე სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული საქმიანობა გამოკითხვების სტატისტიკური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების საფუძველზე, გაანალიზებული იქნა საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული მგდომარეობა, საერთაშორისო პრაქტიკა ამ მიმართულებით.

აღნიშნული მოკვლევის და შესაბამისი დასკვნების საფუძველზე მოხდა შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან, სტუდენტთა გაერთიანებების წარმომადგენლებთან, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების - სკოლების ხელმძღვანელებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელთან და სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან.

მონაცემების შეგროვების, შეხვედრების შედეგად მიღებული ინფორმაციის, იდეების და შეხედულებების დამუშავების შედეგად გაანალიზდა არსებული ვითარება, მოხდა მათი შეპირისპირება შიდა და გარე ფაქტორებთან. შედეგად, ამავე კონტექსტში განისაზღვრა

გეგმები, მოლოდინები და სტრატეგიული გეგმის ფორმირების კონტექსტუალური მხარეები და პრიორიტეტები.

არსებული ანალიზის საფუძველზე სტრატეგიული გეგმის შემუშავების ჯგუფი იმთავითვე შეუდგა მისიის, ხედვისა და ძირითადი ღირებულებების გადამუშავება-ჩამოყალიბებას. ჯერ კიდევ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობის პროცესში მოცემული შედეგი ფართოდ იქნა გავრცელებული შესაბამის სუბიექტებში როგორც ერთიანი სტრატეგიის ნაწილი და საშუალება გეგმის შემდგომი თანამიმდევრულობის და რეალობის უზრუნველსაყოფად.

2.2.3. გამოწვევებისა და შესაძლებლობების საბოლოო ფორმირება და შეთანხმება

მრავალგზის აღინიშნა, რომ უმაღლესი განათლება სოციო-ეკონომიკური თუ სხვა ფაქტორების გათვალისწინებით განიცდის შესაბამის გავლენებს. შესაბამისად, არსებობენ რიგი გარე გამოწვევები და ფაქტორები რომლის პირისპირაც შესაძლებელია აღმოჩნდეს უნივერსიტეტი. თუმცა საკმაოდ დადებითი გარემოებაა ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტის შესაბამის პირებს და სტრუქტურებს კარგად აქვთ გაცნობიერებული ეს გარემოება და გეგმაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა სწორი ხედვები და მიზანმიმართულობა უნივერსიტეტი იყოს მდგრადი ამ გამოწვევებთან მიმართებაში. მომავალი სამოქმედო პერიოდისათვის უნივერსიტეტის გამოწვევები და შესაბამისი შესაძლებლობები რამდენიმე განზოგადებულ თემაში მოექცა: ტექნოლოგია და ინოვაცია, ფინანსირების განაწილების არათანაბარობა, ეკონომიკური გარემო. აღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავდა და განისაზღვრა ოთხი სტრატეგიული პრიორიტეტი.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესმა მოიცვა უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი მომენტი, მათ შორის, ინსტიტუციური განვითარება, ხარისხის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და განხორციელება, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა, კვლევითი საქმიანობა, სტუდენტური სერვისები, ადამიანური და მატერიალური რესურსები, უნივერსიტეტის მიერ ცოდნის განვითარება და გავრცელება საზოგადოებრივი განვითარებისათვის და სხვა.

2.2.4. საჯაროობა, ხელმისაწვდომობა, უკუგება

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესი იყო გამჭვირვალე, ყველა დაინტერესებული პირი და სტრუქტურა იყო ინფორმირებული პროცესიის შესახებ. დაიგეგმა და განხორციელდა შემუშავებული სტრატეგიული გეგმის პროექტის გაცნობის მექანიზმები და ღონისძიებები, ყველა შესაბამისი და მიზანშეწონილი სუბიექტისათვის. შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის პროექტი გაეცნო სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოებას, შესაბამის სტრუქტურებს და თანამდებობის პირებს. მიღებული უკუკავშირის შედეგად მოხდა სტრატეგიული გეგმის საბოლოო ტექსტუალური და სტრუქტურული ვარიანტის შემუშავება-რედაქტირება და მისი წარდგენის და გაცნობის ღონისძიებები შესაბამისი სუბიექტებისათვის, შემდგომი სამართლებრივი პროცედურების განხორციელების დაგეგმვა დოკუმენტის ოფიციალურ ძალაში შესვლის მიზნით.

2.2.5. ჯგუფის შემადგენლობა

დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლის და სხვა დაინტერესებული პირების თანამონაწილეობისა და

ჩართულობის უზრუნველსაყოფად სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი სტრუქტურებისა და პირების მონაწილეობით:

- უნივერსიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი;
- უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში;
- სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის დეკანი;
- ბიზნესის სკოლის დეკანი;
- მედიცინის სკოლის დეკანი;
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის დეკანი;
- ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის დეკანი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი;
- კვლევის განვითარებისა და ხელშეწყობის სამსახურის უფროსი;
- მარკეტინგისა და კომუნიკაციის სამსახურის უფროსი;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;
- სტრატეგიული დაგეგმარების სასწავლო კურსის პროფესორი;
- ბიბლიოთეკის უფროსი;
- სტუდენტი;
- დამსაქმებელი;

სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისას ჯგუფმა გამოიყენა უნივერსიტეტში მანამდე არსებული ორგანიზაციულ განვითარებაზე მომუშავე ჯგუფის რეკომენდაციები.

უნივერსიტეტში არსებული ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ისწავლება სტრატეგიული განვითარების კურსი. შესაბამისად, მოცემულ სტრატეგიულ გეგმაზე მუშაობისას შიდა საუნივერსიტეტო რესურსის სრული და ეფექტური გამოყენების მიზნით, ჯგუფის მუშაობაში ჩართული იქნა აღნიშნული კურსის წამყვანი პროფესორი თამაზ უზუნაშვილი.

2.2.6. დაგეგმარების დროს გათვალისწინებული სამართლებრივი და პოლიტიკური დოკუმენტები

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება;
3. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
4. კანონი მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ;
5. კანონი გრანტების შესახებ;
6. კანონი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესახებ;
7. კანონი ინოვაციების შესახებ;
8. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“;
9. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017 – 2021.

2.2.7. სტრატეგიული დაგეგმარების/გეგმის განსაკუთრებული ნაწილი

2021 წლის 4 თებერვალს უნივერსიტეტმა წარადგინა განაცხადი ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის შესახებ. 2021 წლის 9 თებერვალს ადმინისტრაციული სამართალწარმოების შესაბამისად უნივერსიტეტმა წარდგენილ განაცხადთან დაკავშირებით მიიღო ხარვეზი, რომელშიც აღნიშნულია: „სტრატეგიული განვითარების გეგმა (2019 - 2026 წ.) და სამოქმედო გეგმა (2019 – 2022 წ.) არ მოიცავს სტრატეგიული განვითარების მომდევნო შვიდწლიან და სამწლიანსამოქმედო გეგმას, თუ შესაძლებელია, გთხოვთ წარმოადგინოთ სტრატეგიული განვითარების გეგმა საავტორიზაციო განაცხადის შემოტანის წლიდან მომდევნო შვიდიწლისათვის და სამოქმედო გეგმა საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენიდან მომდევნო სამი წლისათვის.“ როგორც მოცემული გეგმის 2.2. პუნქტის შესავალში აღინიშნა უნივერსიტეტმა თავისი სათანადო პასუხისმგებლობის ფარგლებში 2019 წელს მოახდინა დროული რეაგირება ავტორიზაციის დებულებაში განხორციელებულ ცვლილებაზე, გადაამუშავა არსებული და მიიღო ახალი შვიდ წლიანი სტრატეგიული გეგმა.

აღნიშნულ ხარვეზთან დაკავშირებული ოფიციალური გაიდლაინის არარსებობის გამო ხარვეზთან დაკავშირებით ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შედგა კონსულტაციები. რასაკვირველია, უნივერსიტეტი სტრატეგიულ დაგეგმარებაზე მუშაობის და შესაბამის სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროს ვერ გაითვალისწინებდა და ვერ იხელმძღვანელებდა რაიმე ტიპის ადმინისტრაციული წარმოების შესაბამისად და ობიექტურად ხელმძღვანელობდა სტრატეგიული დაგეგმარების ზოგადი პრინციპების და მიდგომების, არსებული გარემო ფაქტორებისა და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. შესაბამისად, უნივერსიტეტი მოქმედებდა რა კეთილსინდისიერების და პასუხისმგებლობის პრინციპებიდან გამომდინარე დროულად გადაამუშავა და მიიღო ახალი სტრატეგიული გეგმა. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი მექანიკურად ვერ დაამთხვევდა სტრატეგიული გეგმის პერიოდს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების, უფრო კონკრეტულად განაცხადის შეტანის დროს, რადგან ეს არ მოვიდოდა თანხმობაში არც სტრატეგიული დაგეგმარების პრინციპებთან და არც რეალობასთან. ეს პოზიცია გაზიარებული იქნა კონსულტაციების დროს ცენტრის წარმომადგენელების მიერ და ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა და უნივერსიტეტის დამოკიდებულებისა და პოზიციიდან გამომდინარე მათ მიერ ლოგიკურად ჩაითვალა არსებული სტრატეგიული გეგმა დარჩენილიყო უცვლელად. ამასთან, უნივერსიტეტი მრავალი წელია ნდობაზე დაფუძნებული, კონსტრუქციული თანამშრომლობისა და ჯანსაღი უკუკავშირის ფარგლებში თანამშრომლობს ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან. შესაბამისად, უნივერსიტეტისათვის გასაგები იყო ცენტრის წარმომადგენლების პოზიციის ლოგიკა , რომ თუ არამიზანშეწონილად მცირე დრო იქნებოდა დარჩენილი საავტორიზაციო განაცხადის შეტანისათვის სტრატეგიული გეგმის დასრულებამდე, მაშინ გართულდებოდა ან შეუძლებელი იქნებოდა უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაზომვა მისანიჭებელი საავტორიზაციო პერიოდისათვის (აქვე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ობიექტირი ვითარების გამო გაუ ვერ მოექცევა ამ სურათში რადგან: როგორც ცენტრის მიერ შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სახელმძღვანელოშია მოცემული “უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრულფასოვანი თვითშეფასების ჩასატარებლად რეკომენდირებულია, რომ უსდ-მ პროცესი მინიმუმ 5 თვით ადრე დაიწყოს. თუმცა უსდ-ს ზომის, სპეციფიკის და არსებული ინფორმაციისა და მონაცემების სისტემატიზაციის დონის (მაგ. სისტემატურად გროვდება თუ არა მონაცემები სტუდენტთა დასაქმების შესახებ, პროგრამის დასრულების შესახებ და სხვა) გათვალისწინებით, შესაძლოა ამ პროცესს 9 თვემდე პერიოდიც დასჭირდეს“, ასევე 2020 წელს

პანდემიის გამო კანონმდებლობის საფუძველზე განხორციელდა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ავტორიზაციის ვადის გახანგრძლივება, რამაც შესაბამისად გადაავადა საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა). მიუხედავად აღნიშნულისა, დაწესებულება გაგებით მოეკიდა ცენტრის ლოგიკას და გაიზიარა ცენტრთან კონსულტაციების შედეგად შემოთავაზებული ვარიანტი, რომ არსებული სტრატეგიული გეგმა დარჩებოდა უცვლელი როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ და მას დაერთვებოდა დარჩენილი პერიოდისთვის აქტივობების მარტივი ფორმა. როგორც ავღნიშნეთ, უნივერსიტეტმა გაიზიარა აღნიშნული პოზიცია, და საბოლოოდ ამ გადაწყვეტილების იმპლემენტაცია სამი არსებითი და ლოგიკური გარემოების გამო მოახდინა შემდეგნაირად:

1. სტრატეგიული გეგმის ამ მიმართულებით მოდიფიკაცია დაგეგმარების პრეისტორიის შესაბამისად, ასევე არსებული რეალიების შეფასების, დასახული ამოცანების, მიზნებისა და მიღწევადობის შესაძლებლობების გათვალისწინებით უნივერსიტეტისათვის არ წარმოადგენდა განსაკუთრებულ სირთულეს;
2. ნებისმიერი პირის, მათ შორის ექსპერტების და საბჭოსთვის ხელმისაწვდომი და მარტივად აღსაქმელი რომ ყოფილიყო სტრატეგიული დაგეგმარება და გეგმის ლოგიკა, მარტივი აქტივობების ფორმით სტრატეგიულ გეგმაზე დანართის დართვის ნაცვლად არჩეულ იქნა ცვლილებებისა და დამატებების გეგმაში ინტეგრირება. ასეთი მიდგომა მეტად უპასუხებდა დაგეგმარებისა და აკადემიურობის პრინციპებსაც.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პრეზიდენტის 2021 წლის 12 თებერვლის N02-028 ბრძანების საფუძველზე ისევ შეიკრიბა სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ჯგუფი, იგივე შემადგენლობით როგორც მოქმედებდა 2018 წლის 28 დეკემბრის N02-283 ბრძანების საფუძველზე და რომელმაც შეიმუშავა უნივერსიტეტის 2019-2026 სასწავლო წლების გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი.

სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ჯგუფმა იმსჯელა უნივერსიტეტის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ, რომელიც 2019 წლის განხილვების დროს მიჩნეული იყო შედარებით გრძელვადიან პერსპექტივად და უნდა გათვალისწინებულიყო მომდევნო გრძელვადიანი დაგეგმვის დროს. ჯგუფმა განახორციელა შესაბამისი საქმიანობა ყველა დაინტერესებულ და შესაბამის სუბიექტთან, გაანალიზა შესაბამისი ობიექტური გარემოებები, მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მონაცემები, და დაადგინა რეალისტური და დროში მიღწევადი მიზნები და ამოცანები. რის საფუძველზეც წარმოადგინა შესაბამისი ცვლილებები და დამატებები სტრატეგიულ გეგმაში. უნივერსიტეტის პარტნიორთა კრებამ ჩათვალა, რომ 2019 წელს სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფის მიერ უკვე გაწეული მუშაობიდან და უნივერსიტეტში არსებული რეალიებიდან გამომდინარე ზემოაღნიშნული ცვლილებები და დამატებები იყო რეალისტური, იმსჯელა მათ შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება არსებულ სტრატეგიულ გეგმაში ინტეგრირების შესახებ.

ცვლილებები და დამატებები ძირითადად შეეხო:

2026-2027 წლებში უნივერსიტეტი განახორციელებს ეკონომიკის მიმართულებით ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას. ეს ცვლილებები ასახულია წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის ბიზნესის სკოლის სექციაში (პირველი პრიორიტეტი, მეორე სტრატეგიული მიზანი, ამოცანა 2.4.);

2026-2027 წლებში უნივერსიტეტი განახორციელებს პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით ახალი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას. ეს ცვლილებები ასახულია წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმის სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლის სექციაში (პირველი პრიორიტეტი, მეორე სტრატეგიული მიზანი, ამოცანა 2.4.);

მეორე პრიორიტეტის მეორე სტრატეგიული მიზნის მიღწევის საშუალებად დამატებით განისაზღვრა ამოცანა - საზოგადოების სამოქალაქო, ეკონომიკური, ინტელექტუალური და კულტურული ზრდის მხარდასაჭერად უნივერსიტეტის მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების უზრუნველყოფა (მეორე პრიორიტეტი, მეორე სტრატეგიული მიზანი, ამოცანა 2.2.5.);

მესამე პრიორიტეტში გამოიკვეთა სტრატეგიული მიზანი - სტუდენტთა სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და ეფექტური მხარდაჭერა, რომელიც განხორციელდება უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის, როგორც „მეტი ვიდრე ქველმოქმედება“ ფილოსოფიის დანერგვით და მხარდაჭერით (მესამე პრიორიტეტი, მეოთხე სტრატეგიული მიზანი, ამოცანა 3.4.1.);

მეოთხე პრიორიტეტის პირველი სტრატეგიული მიზნის მიღწევის საშუალებად დამატებით განისაზღვრა ამოცანა - კურსდამთავრებულთა მონაწილეობის უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო/სასკოლო გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურების საქმიანობაში (მეოთხე პრიორიტეტი, პირველი სტრატეგიული მიზანი, ამოცანა 4.1.12.);

მეოთხე პრიორიტეტში გამოიკვეთა სტრატეგიული მიზანი - კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის დანერგვა, რომელიც განხორციელდება ეფექტური სოციალური პასუხისმგებლობის მოდელის დანერგვითა და განვითარებით, ასევე სოციალური ინტეგრაციისა და მონაწილეობის გაფართოებით (მეოთხე პრიორიტეტი, მეოთხე სტრატეგიული მიზანი, ამოცანა 4.4.1. - 4.4.2.).

III. სტრატეგიული გეგმის შესრულებისა და განვითარების მონიტორინგი

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მიზნით ინსტიტუცია ახორციელებს მონიტორინგის სიტემას, რომელიც ეფუძნება წარმატებული იმპლემენტაციის ოთხ ძირითად საფუძველს. მათი ერთობლიობა ქმნის სიმბიოზურ მიმართებას საუნივერსიტეტო პროცესებს, ფინანსურ რესურსებს, მატერიალურ რესურსებს, ადამიანურ რესურსებს და ინსტიტუციურ სისტემებს შორის. შესაბამისად ჰორიზონტალში ეს საყრდენები მოიცავს: 1. უნივერსიტეტის ორგანიზაციულ პოტენციალს და განვითარების შესაძლებლობებს; 2. შიდა საუნივერსიტეტო პროცესებს; 3. ფინანსურ და მატერიალურ რესურსებს; 4. თანამშრომლობასა და კოორდინაციას უნივერსიტეტის ინსტიტუციურ ერთეულებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. ხოლო ვერტიკალში: 1. პასუხისმგებლობას შესაბამის სტრუქტურებს შორის; 2. ანგარიშვალდებულებას ეფექტურონის მიზნით.

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება სტრატეგიული გეგმის შესრულების წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიისა და სტრატეგიის შესაბამისად, იმისდა მიხედვით თუ გეგმის რეალიზაციისა და მონიტორინგის კონკრეტულ ეტაპზე რა ამოცანაა დასახული როგორც ტაქტიკური, ისე ოპერაციული (ფუნქციონალური) თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მონიტორინგის პროცესი მოიცავს სტრატეგიული გეგმის ყველა კომპონენტს და ამასთან, მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამების და სხვა თანმდევი აქტივობების ანალიზს, რომლებიც მიმართულია სტრატეგიული გეგმის შესრულებისკენ.

საბოლოოდ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მექანიზმი გულისხმობს პროცესების რეგულარულ კონტროლს და შედეგების განხილვას წინასწარ ან საჭიროებიდან გამომდინარე განსაზღვრულ ვადებში და პერიოდულობით.

სტრატეგიული გეგმის განხორციელების თანმიმდევრული მეთოდოლოგიური პროცედურა მოიცავს ორ მნიშვნელოვან ეტაპს:

I. პრევენციული ეტაპი;
II. გადაწყვეტილებების მიღების ეტაპი

უფრო კონკრეტულად, პრევენციულ ეტაპზე მეთოდოლოგიური თანმიმდევრულობა პროცედურულად გულისხმობს:

1. სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტების, ამოცანებისა და განსახორციელებელი აქტივობების შესრულებასთან მიმართებით ორგანიზაციული სტრუქტურის და მისი ფუნქციონირების დიაგნოსტიკას;
2. ორგანიზაციული სტრუქტურების მიერ განხორციელებული აქტივობების შეფასებას სტრატეგიული გეგმის რეალიზაციისთვის.

შედეგობრივი თვალსაზრისით, მოცემული მეთოდოლოგიური მიდგომის აღნიშნული პირველი და მეორე აქტივობა გულისხმობს ორი სახის სავარაუდო შედეგს :

ა. ორგანიზაციულ სტრუქტურაში გეგმის შესრულებასთან დასაბუთებული და აუცილებელი რედიზაინის განხორციელება;
ბ. სტრატეგიული გეგმის განხორციელებასთან მიმართებით, თუ სტრუქტურა გამართულია, მაგრამ ფიქსირდება ხარვეზი მის ფუნქციონირებაში, ასეთ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს შესაბამისი თანამდებობის და გეგმის შესრულების პასუხისმგებელი პირების ფუნქციონალური გაძლიერება, მათი პასუხისმგებლობების და გეგმასთან მიმართებით სააღსრულებო პასუხიმგებლობების გადასინჯვა.

სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებით ორგანიზაციული სტრუქტურის სრული გამართულობის და მისი შესაბამისი ადეკვატურად ფუნქციონირების შემდეგ და შემთხვევაში, განვითარების და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიურ პროცედურაში იწყება შემდეგი საფეხური - სტრატეგიული გეგმის ანალიზი და მისი განხორციელების ადეკვატურობის უზრუნველყოფა.

მოცემული მეთოდოლოგიური ნაბიჯი თავის თავში მოიცავს ორ კომპონენტს:

ა. სტრატეგიული გეგმის განხორციელებაზე უშუალოდ მიმართული გეგმების ან პროგრამების არსებობის დადასტურება და ანალიზი;
ბ. იმ შეცდომების იდენტიფიცირება, ანალიზი და კორექტირება, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს სტრატეგიული გეგმის განხორციელებაზე.

წარმოდგენილ მეთოდოლოგიურ მიდგომასა და თანმიმდევრულობაში ზემოაღნიშნულის შემდეგ იწყება **გადაწყვეტილების მიღების ეტაპი,** რომელიც მოიცავს:

ა. გადაწყვეტილების მიღება იმ სიტუაციებისა და აქტივობების შესახებ, რომლებიც მოცემული მომენტისათვის არ ყოფილა გათვალისწინებული სტრატეგიულ გეგმაში;

ბ. შესაბამისი ღონისძიებების და აქტივობების დაგეგმვა;

გ. სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის გაგრძელების და მისი რეალიზაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფა;

დ. გეგმის დასახვა მორიგი მონიტორინგის და განვითარების შეჯამებისათვის.

მონიტორინგის პროცესში საკანონმდებლო და საუნივერსიტეტო რეგულაციებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტრატეგიული განვითარების და სხვა შესაბამის სამსახურებთან ერთად ასრულებს მაკოორდინირებელ ფუნქციას მონიტორინგის პროცესში.

მონიტორინგის პროცესის, მის თანმხლებ პროცესებთან დაკავშირებული შედეგების დასკვნითი განხილვა ხდება წელიწადში ერთხელ, აკადემიური საბჭოს მიერ. მონიტორინგის პროცესის განხორციელების ძირითადი მექანიზმია პერიოდული შეხვედრები, რომელიც იმართება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ 2 თვეში ერთხელ და შუალედური შეფასება, რომელიც იმართება აკადემიური საბჭოს მიერ წლიურ განხილვამდე 6 თვით ადრე.

პერიოდული შეხვედრების და შუალედური შეფასების სამუშაო მექანიზმი გულისხმობს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განვითარების და იმპლემენტაციის, ასევე მონიტორინგზე პასუხიმგებელი პირების მოსმენებს და განხილვებს ისეთი საკითხების შესახებ როგორიცაა:

1. სტრატეგიული, სამოქმედო გეგმის რა კომპონენტი იქნა შესრულებული მოცემული მომენტისათვის;
2. რა კომპონენტები იქნა გადადებული რა მიზეზით და რა ვადით;
3. დაკარგა თუ რა აქტუალობა რომელიმე პრიორიტეტმა, ამოცანამ ან განსახორციელებელმა აქტივობამ მოცემული მომენტისათვის;
4. როგორ უნდა იქნეს შეცვლილი და მოდერნიზებული ესა თუ ის ამოცანა და როგორ უნდა დაკორექტირდეს ვადები;
5. სხვა საკითხები, რომლებიც აქტუალური და მიზანშეწონილი შეიძლება აღმოჩნდეს შესაბამისი პერიოდისათვის.

ყოველი წლის ბოლოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შუალედურ მონაცემებზე დაყრდნობით უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს წარუდგენს სტრატეგიული გეგმის შესრულების და მონიტორინგის ანგარიშს. ანგარიში უნდა შეიცავდეს:

1. დასკვნას, განსხვავებების შესახებ სტრატეგიულ, სამოქმედო გეგმასა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის;
2. ანალიზს იმის შესახებ თუ რომელ ეტაპზე წარმოიშვა პრობლემა, დაგეგმარების თუ იმპლემენტაციის ეტაპზე;
3. რეკომენდაციებს აუცილებელი და მიზანშეწონილი ცვლილებების განხორციელების შესახებ და სხვა.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის განხორციელების ფორმებად გამოიყენება:

- შეფასება;
- დასკვნა;
- რეკომენდაცია;
- ანგარიშგება;

IV. არსებული ვითარების მიმოხილვა

1. ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU) 2005 წელს დაფუძნდა და დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, კონკურენტუნარიანი პროფესიონალებისა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე პიროვნებების ჩამოყალიბებაში.

2. უნივერსიტეტი ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის პროგრამებს და ამჟამად წარმოდგენილია ხუთი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულით - სკოლით:

- სამართლის, სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა
- ბიზნესის სკოლა
- ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა
- მედიცინის სკოლა

ზემოაღნიშნული სკოლების ფარგლებში უნივერსიტეტი მოიცავს 18 საგანმანათლებლო პროგრამას, რომლებშიც 1200-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს.

3. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი მაღალკვალიფიციური ქართველი და უცხოელი პროფესორებისგან შედგება. ისინი მეცნიერთა იმ რიცხვს განეკუთვნებიან, რომელთა სამეცნიერო სტატიებსაც საერთაშორისო რეცენზირებადი იმპაქტ-ფაქტორიანი ჟურნალები აქვეყნებენ და სამეცნიერო ნაშრომებს მაღალი ციტირების ინდექსი აქვთ.

4. GAU-ში მოქმედებს კვლევითი ცენტრები, რომლებიც ეწევიან სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. მათ მიერ განხორციელებულ კვლევებში აქტიურად მონაწილეობენ GAU-ს პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

5. უნივერსიტეტის კამპუსი (5,700 კვ.მ. შენობის ფართობი), ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (ბიბლიოთეკა, ულტრათანამდროვე ლაბორატორია -

ჯეოლაბი, საკონფერენციო სივრცეები და სხვა) სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე საუნივერსიტეტო სტანდარტებს. შექმნილი ატმოსფერო აკადემიური პროცესის ეფექტურად წარმართვის ხელსაყრელ წინაპირობებს ქმნის და ამავდროულად, სტუდენტებისთვის მრავალფეროვანი გამოცდილების შეძენის შესაძლებლობას იძლევა.

6. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესიული ინგლისური ენის სწავლებას. ამავდროულად, მოქმედებს ინგლისურენოვანი პროგრამები, რომელსაც უცხოელ პარტნიორებსა და კოლეგებთან მუშაობის დიდი გამოცდილების ინგლისურენოვანი პროფესორები უძღვებიან. შესაბამისად, ბიბლიოთეკა მდიდარია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოებითა და დამატებითი ლიტერატურით, რომლებიც აშშ და ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში გამოიყენება.

7. უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტულია განათლების ინტერნაციონალიზაცია და შესაბამისად, წლიდან წლამდე იზრდება იმ ევროპული თუ ამერიკული წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი, რომელთანაც ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი საქმიან კავშირებს ამყარებს. შესაბამისად GAUს სტუდენტებს სულ უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, ჩაერთონ გაცვლით პროგრამებში და ინტერნაციონალურ განათლებასთან ერთად, კულტურული მრავალფეროვნების, სხვადასხვა საუნივერსიტეტო ცხოვრების გამოცდილება მიიღონ. ამასთან, Erasmus+ პროგრამების ფარგლებში დღითიდღე იზრდება GAU-ს პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების რიცხვი. ასევე, GAU სარგებლობს გაცვლითი პროგრამებით თურქეთის სხვადასხვა უნივერსიტეტთან, სადაც GAUს სტუდენტს ეძლევა სტიპენდია მევლანას პროგრამის ფარგლებში. ევროპული უმაღლესი სასწავლებლების გარდა, GAU-ს სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ გაცვლითი პროგრამებით აშშ-ის წამყვან უნივერსიტეტებთან, მაგალითად უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის თანამშრომლობას ფორდჰამის უნივერსიტეტთან.

8. უნივერსიტეტისთვის ცენტრალურ ფაქტორს წარმოადგენენ სტუდენტები, რასაც ცხადყოფს ის ფაქტიც, რომ GAUს სტუდენტები, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, გეგმავენ და ახორციელებენ შემეცნებით, სპორტულ, გასართობ და საქველმოქმედო პროექტებს. GAU სტუდენტების ინტერესის გათვალისწინებით ხორციელდება საჯარო აქტივობების ორგანიზება სხვადასხვა სფეროს ლიდერების, ექსპერტების, ახალგაზრდებისთვის საინტერესო ადამიანების მონაწილეობით. ამასთან, GAU-ში ფუნქციონირებს ომბუდსმენის ოფისი, რომელიც არის გარანტი იმისა, რომ სტუდენტთა უფლებები და თავისუფლებები არის სრულყოფილად დაცული.

9. GAU-ს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება. სტატისტიკის მიხედვით, დასაქმებულია კურსდამთავრებულთა **92%**-ზე მეტი, ხოლო მე-3 და მე-4 კურსელების **50%**-მდე ამ მაჩვენებელს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ თითოეული ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული მჭიდროდ თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, პროგრამები და სწავლების მეთოდიკა თანხვედრაშია შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

10. განვითარდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შიდა და გარე მექანიზმები. რამაც გამოიწვია საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის ამაღლება და სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლის ზრდა;

11. მოხდა უნივერსიტეტში სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობის ინსტიტუციონალური და შინაარსობრივი გადაფასება. შესაბამისად მეცნიერების და კვლევის მხარდაჭერის და ხარისხის ამაღლების მიზნით შეიცვალა ინსტიტუციური სტრუქტურა, ჩამოყალიბდა ახალი მიდგომები და განვითარდა კვლევის პოლიტიკა და სტრატეგია. სტრატეგიული პერიოდისთვის კვლევა განისაზღვრა როგორც მხარდაჭერის და განვითარების მნიშვნელოვანი ობიექტი;

12. უნივერსიტეტში განვითარდა სტუდენტთა მრავალფეროვნებისა და ჩართულობის მიდგომები და მექანიზმები. რამაც გამოიწვია თვისობრივი ცვლილება მიდგომაში, რომლის შედეგადაც განვითარდა სისტემა: სტუდენტი, როგორც ინფორმაციის მომწოდებელი - ექსპერტი - პარტნიორი;

V. უნივერსიტეტის სამოქმედო საგანმანათლებლო გარემოს შეფასება და სტრატეგიული გამოწვევები

SWOT ანალიზი

მოცემული SWOT ანალიზი წარმოადგენს ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების განზოგადებულ შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც სტრატეგიული დაგეგმარების პროცესში ქმნის ნათელ წარმოდგენებს ინსტიტუციის სტრატეგიულ მიმართულებებზე და განსახორციელებელ აქტივობებზე.

5.1. შიდა საუნივერსიტეტო გარემოს შეფასება

უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები

ძლიერი მხარეები

- ბაზარზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;
- თანამედროვე ინფრასტრუქტურა და მდებარეობა;
- მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები;
- გაცვლითი პროგრამები და მონაწილეობა საერთაშორისო პროექტებში;
- მრავალფეროვანი სასერტიფიკატო კურსები;
- შედარებით მცირერიცხოვანი და ამასთან მრავალფეროვანი სტუდენტური კორპუსი;
- აკადემიური თავისუფლების უმაღლესი სტანდარტი;
- აქტიური სტუდენტური ცხოვრება;
- მაღალი სოციალური პასუხსმგებლობის განცდა და ამ პრინციპით უნივერსიტეტის პოზიციონირება;
- პროფესიული ინგლისურის სწავლება და მულტილინგვისტური მიდგომები;
- უწყვეტი განათლების სისტემური მიდგომები და შესაძლებლობები;
- საუკეთესო აკადემიური და პრაქტიკული გამოცდილების ლექტორების ერთობლივი პოტენციალი;

- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი;
- GAU-ს როგორც დამსაქმებლის როლში პოზიციონირება;
- მოქნილი საგანმანათლებლო გარემო;
- ფინანსური მდგრადობა;

შესაძლებლობები

- ცნობადობისა და საერთაშორისო აღიარების ზრდა;
- საერთაშორისო კავშირები სწავლების უმაღლესი ხარისხის უზრუნველსაყოფად;
- ეფექტური მმართველობა და მართვის მაღალი სტანდარტისა და კულტურის უზრუნველყოფა;
- ორმხრივი პროგრამების არსებობა და შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭება;
- საერთაშორისო სტუდენტები წილის ზრდა;
- პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი აკადემიური საქმიანობა;
- უცხოელი სპეციალისტების ლექციების და მასტერკლასების ზრდის ტენდენცია;
- დასაქმების ხელშეწყობის შესაძლებლობების ზრდის ტენდენცია ;
- უცხოელი პერსონალით სასწავლო პროცესის გაძლიერება;
- კვლევითი საქმიანობის გაძლიერება;
- თანამედროვე სტუდენტური სერვისების განვითარება;
- ინტერნაციონალიზაციის მაჩვენებლის გაზრდა;

სუსტი მხარეები

- პროფესორთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეების ნაკლებობა;
- საერთაშორისო პროგრამების ნაკლებობა;
- კვლევის კომერციალიზაციის შიდა და გარე ფაქტორების თანხვედრის განვითარება;
- მართვის თანამედროვე ელექტრონული სისტემების გაძლიერება;

საფრთხეები

- მცირე ბაზარი და ბაზარზე ფასების არასტაბილურობა;
- მზარდი და არათანაბარი კონკურენციის პირობები;
- ეკონომიკური არასტაბილურობა;
- სახელმწიფო დაფინანსების მიდგომები კერძო და საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების მიმართ;
- სახელმწიფოს ფულადი რესურსების არაბალანსირებული დაფინანსება;

VI. GAU-ს მისია, ხედვა, ღირებულებები

2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა შემუშავებულია და მორგებულია საგანმანათლებლო ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს და ეყრდნობა GAU-ს დღეისათვის საყოველთაოდ გაცხადებულ მისიას, მიზნებსა და ამოცანებს.

6.1. მისია

GAU-ს მისიაა:
მოწინავე სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო-პრაქტიკულ მოდელებზე ბაზირებული განათლების მიცემა, კვლევის წარმოება და ინოვაციური საქმიანობა. თანაბარი შესაძლებლობების მიცემის საფუძველზე - ცოდნის, უნარებისა და საყოველთაო ღირებულებების განმტკიცებითა და სოციალური პასუხისმგებლობის აღიარებით, საზოგადოების განვითარებისა და ქვეყნის გლობალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ცოდნის შექმნისა, დაგროვებისა და გაზიარების გზით.

6.2. GAU-ს ხედვა

GAU თავის გრძელვადიან პერსპექტივაში იღებს პასუხისმგებლობას შექმნას ტოლერანტული, თანამშრომლობითი და ინოვაციური გარემო, სადაც სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა თანამონაწილეობით ხელს შეუწყობს:

- თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში;
- საგანმანათლებლო სივრცეში უნივერსიტეტის მთავარ უპირატესობათა გამოყენებით ცოდნის შექმნას, შენახვას და გადაცემას;
- მიღებული ცოდნის ტრანსფორმაციას საქმეში და კვალიფიკაციის შესაბამისად გამომუშავებული უნარების გამოყენებას ყველა საჭირო მასშტაბით;
- მაღალი სოციალური და მორალური პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალების ჩამოყალიბებას;
- საექსპერტო და კვლევითი საქმიანობის წარმოებით და მის ფარგლებში, ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ღირებულებების განმტკიცებას, რითაც წაახალისებს სამოქალაქო თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის გაღვივებას;
- აკადემიური თავისუფლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების უზრუნველყოფას.

6.3. ღირებულებები

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის როგორც მისიის განაცხადი, ისე მისი საქმიანობა ზოგადად ემყარება დასავლურ დემოკრატიულ სივრცეში აღიარებულ ფუნდამენტურ ღირებულებებს. უნივერსიტეტს ღრმად სწამს ამ ღირებულებების სიკეთე, იყენებს მათ ყოველდღიურ საქმიანობაში და ზრუნავს განუხრელად დაცვისთვის.

სამართლიანობა და თანასწორობა - GAU ზრუნავს შექმნას დისკრიმინაციისგან თავისუფალი, თანაბარი შესაძლებლობების გარემო სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და თანამშრომლებისათვის, რათა მათ შეძლონ თავიანთი მიზნების განხორციელება და პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება საუნივერსიტეტო მისიის შესასრულებლად და პირადი კეთილდღეობის მისაღწევად. უნივერსიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები პროცედურულად და უფლებათა უზრუნველყოფის თვალსაზრისით ეყრდნობა მხარეთა კანონიერ ინტერესებს.

აკადემიური თავისუფლება - აკადემიურ თავისუფლებას როგორც ღირებულებას GAU მიიჩნევს სწავლის, კვლევის და ერუდიციის უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ პირობად. ამ ღირებულების განუხრელად დაცვა უზრუნველყოფს უნივერსიტეტის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული კადრის და სტუდენტების უფლებას უზრუნველყოფილი იქნეს სწავლა-სწავლების და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა.

ჩართულობა - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობას შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებაში. ეს ქმნის მეტ შესაძლებლობას კარგად გავაცნობიეროთ საერთო სიკეთისა და წარმატებისაკენ სწრაფვის შესაძლებლობები.

მრავალფეროვნება და პატივისცემა - მრავალფეროვნება ქმნის საუნივერსიტეტო საზოგადოების იმგვარი გარემოს შექმნის შესაძლებლობას, რომელიც მისაღები და კომფორტულია ყველასათვის მათი განმასხვავებელი ნიშნის მიუხედავად. ამ ღირებულების დაცვა არის გარანტია საუნივერსიტეტო სივრცეში არსებობდეს მრავალფეროვანი და კონსტრუქციული დისკურსი, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს ყველას იდეებისა და პერსპექტივებისადმი პატივისცემას და რეალიზაციას. მრავალფეროვნების მიღმა მის ნაწილად კოლეგიური მოპყრობა, ურთიერთპატივისცემა, ცივილიზებული, გახსნილი და პროფესიონალური დამოკიდებულება საქმიანობის, თანამშრომლობის და გადაწყვეტილების პროცესში მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის საქმიანობისას.

პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება - უნივერსიტეტის ოპერირებისას უკიდურესად მნიშვნელოვანია პირადი და პროფესიული პასუხისმგებლობა, როგორც პასუხი ჩვენს ქმედებაზე, უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებზე. პასუხისმგებლობის პრინციპი უნივერსიტეტში დაფუძნებულია სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის და მაღალი ორგანიზაციული კულტურის გარემოს არსებობაზე. ანგარიშვალდებულების ღირებულება უნივერსიტეტში აღქმულია როგორც კეთილსინდისიერების განმტკიცების და კარგი მმართველობის ერთ-ერთი პრინციპი. ანგარიშვალდებულება ხელს უწყობს ინსტიტუციის შეუფერხებელ ფუნქციონირებას როგორც ღირსების, ისე მექანიზმის კონცეპტების თვალსაზრისით. შესაბამისად, ამ პრინციპის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გატარებას თან ახლავს ინფორმირების, მონიტორინგის, შეფასების სამართლიანი მექანიზმები და ძლიერი, აქტიური სამოქალაქო და პროფესიული წევრებისაგან შემდგარი საუნივერსიტეტო საზოგადოება.

ტრანსფორმაციულობა - უნივერსიტეტი, ჩვენი საზოგადოების და სახელმწიფოს განვითარების არსებული რეალიებიდან გამომდინარე გამოთქვამს მუდმივ მზადყოფნას ქონდეს ტრანსფორმაციული მიდგომები სწავლა, სწავლების, კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის მიმართ. ამ მიმართულებით გამოყენებული მეთოდები დაეფუძნება საუკეთესო პრაქტიკას და მოქნილ, შერეულ მიდგომებს უნივერსიტეტის მისიის და ამოცანების შესასრულებლად.

Covid -19 და უნივერსიტეტის რეაქცია

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი უკვე იდგა თავისი 2019 -2026 წლების სტრატეგიული გეგმის იმპლემენტაციის გზაზე როცა Covid-19 პანდემიის შედეგად გლობალურ და ლოკალურ სივრცეში განვითარებული გარემოებათა გამო, შესაბამისი პროცედურული ასპექტების გამოყენებით მიუბრუნდა სტრატეგიული განვითრების გეგმას და დაიწყო სტრატეგიულ

განვითარებაზე მსჯელობა შექმნილ ვითარებასთან მიმართებით, რათა უზრუნველეყო უნივერსიტეტის შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება დასახული მიზნებისა და ამოცანების და ზოგადად უნივერსიტეტის წარმატების მიღწევისათვის.

რადგან პანდემიამ წარმოშვა საშიშროება მრავალი გაუთვალისწინებელი მდგომარეობისათვის, უნივერსიტეტმა დაიწყო მენეჯმენტის იმ გზებისა და საშუალებებისა ძიება, რომლებიც შექმნიდა შესაძლებლობას პანდემიით გამოწვეული გაუწონასწორებელობის ვითარებაში უზრუნველეყო არსებული მდგრადობის შენარჩუნება და მომავალი პოტენციალის სრულად რეალიზება. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე უნივერსიტეტმა გაიზიარა და იხელმძღვანელა იმ პრინციპით, რომ სწავლის და კვლევის ხარისხის შენარჩუნება, მისი მხარდაჭერა და განვითარება არსებული ვითარების გათვალისწინებით არის სოციალური და ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხი და არსებული ვითარება მოითხოვს უპრეცედენტო რეაგირებას, როგორც პრობლემის არსის, ისე ტაქტიკური მოქმედების თვალსაზრისით.

შექმნილ ვითარებიდან გამომდინარე უნივერსიტეტი დადგა პანდემიური კრიზისების გათვლის და შესაბამისად მომზადების, შესაბამისი და ეფექტური მენეჯმენტის განხორციელების და კრიზისების შემსუბუქების ამოცანის წინაშე. ახალ ვითარების შესაბამისი ცვლილებების და პანდემიური სტრატეგიის შემუშავების ძირითადი მიდგომა და პრიორიტეტად აღებული იქნა რომ უნივერსიტეტმა შეძლოს ცოდნის მიწოდება ხარისხის შენარჩუნების და მისი განვითრების ვითარებაში. პანდემიის ვითარებაში არსებითია არა სასწავლო პროცესი მხოლოდ და თავისთავად, არამედ ხარისხის უზრუნველყოფის ვითარებაში სწავლის შედეგებზე გასვლა.

პანდემიიდან გამომდინარე სტრატეგიული გეგმისადმი მყისიერმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა უნივერსიტეტს დროულად შეექმნა და მოემზადებინა ცვლილებების ეტაპი ერთის მხრივ ზოგადად ინსტიტუციური მდგრადობის და შემდგომი ეფექტური მენეჯმენტის წარმოების თვალსაზრისით და მეორეს მხრივ და რაც მომეტებულად მნიშვნელოვანია სტუდენტის მხარდაჭერის თვალსაზრისით.

პანდემიიდან გამოწვეული სტრატეგიული ცვლილებები განხილული იქნა და განხორციელდა სამი ძირითად ელემენტზე დაყრდნობით:

1. მონაცემების შეგროვება და ანალიზი: გულისხმობდა პანდემიურ ვითარებასთან დაკავშირებული უკიდურესი და სასწრაფო რეაგირებისათვის საჭირო მონაცემების შეგროვება დამუშავებას.
2. სტაბილიზაცია: რესურსების გადაჯგუფება არსებული ვითარების შესაბამისად და გათვალისწინებით.
3. ტრანსფორმაცია: არსებულ სტრატეგიაში, მოცემული ეტაპისა და ვითარების შესაბამისი ცვლილებებისა და დამატებების განხორციელება რათა უზრუნველყოფილი იქნას პანდემიის და პოსტპანდემიური პერიოდის ანუ გრძელვადიანი წარმატებები.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს Covid სტრატეგიის დოკუმენტი, ამ ნაწილის დამატება და ინტეგრირება სტრატეგიული განვითარების გეგმაში მაინც ჩაითვალა მიზანშეწონილად, საკითხის მნიშვნელობიდან და უნივერსიტეტის მიდგომის ხაზგასმიდან გამომდინარე.

შესაბამისად, განხორციელებული მუშაობის შედეგები დამატებებისა და ცვლილებების სახით ინტეგრირებულია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმაში.

VII. GAU-ს სტრატეგიული პრიორიტეტები 2021-2027

საგანმანათლებლო სივრცეში არსებული დღევანდელი გამოწვევებიდან გამომდინარე, GAU წინამდებარე სტრატეგიული გეგმის ფარგლებში, მომდევნო შვიდწლიან პერიოდში, მიზნად ისახავს კონცენტრირება მოახდინოს შემდეგ სტრატეგიულ პრიორიტეტებზე:

1. პრიორიტეტი:
ხარისხიანი და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობა

2. პრიორიტეტი:
კვლევითი საქმიანობა

3. პრიორიტეტი:
სტუდენტური ცხოვრებისა და კარიერული სერვისების ეფექტური განვითარება

4. პრიორიტეტი:
ორგანიზაციული განვითარება

1. პრიორიტეტი - ხარისხიანი და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო საქმიანობა

სტრატეგიული გეგმის სამოქმედო პერიოდში უნივერსიტეტის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებად დარჩება გამოიყენოს არსებული, შეიმუშაოს და დანერგოს სწავლების ისეთი მიდგომები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევაზე დაფუძნებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენებისათვის უნარების გამომუშავებას, რამაც სტუდენტს საშუალება უნდა მისცეს მიიღოს თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის ცოდნა, უნარები და შესაბამისი ღირებულებები, ადექვატური პროფესიული გამბედაობა.
ამ მიმართულებამ უნდა მოიცვას: საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება; საგანმანათლებლო პროგრამების არქიტექტონიკა და შინაარსი; სწავლის შედეგების მიღწევადობა, შეფასების გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემა, და სხვა.

1.1.სტრატეგიული მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნისა და პროფესიული გამბედაობის გამომუშავებას;

განსახორციელებელი ამოცანები:

1.1.1.პროგრამის სწავლის შედეგების მუდმივი რელევანტურობის უზრუნველყოფა კონკრეტულ მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

ინდიკატორი:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის სამსახურის მონიტორინგი და ანგარიშები;
- სტუდენტთა და დასაქმებულთა კვლევის მაჩვენებლები;
- სწავლის შედეგების შეფასება;

1.1.2.პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის შესაბამისობის მუდმივი მონიტორინგი

ინდიკატორი:

- ხარისხის კონტროლის მექანიზმები;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების კვლევის მაჩვენებლები;
- პროგრამის განვითარების მექანიზმები;
- პროგრამის მოდიფიცირების წესი და პროცედურა;

1.1.3.დარგობრივი მახასიათებლისა და პროგრამების სწავლის შედეგების და მათი გონივრულ ვადაში მიღწევადობის უზრუნველყოფა და მონიტორინგი;

ინდიკატორი:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- შესაბამისი სკოლის საბჭოს და აკადემიური საბჭოს საქმიანობა/გადაწყვეტილებები;
- სტუდენტთა გამოკითხვის მაჩვენებლები;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები;
- სწავლის შედეგების შეფასება;

1.2. სტრატეგიული მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია და მათი შესაბამისობა თანამედროვე საზოგადოებრივ და საბაზრო მოთხოვნებთან;

განსახორციელებელი ამოცანები:

1.2.1. არსებული და მომავალში ინიცირებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მიერ იმ მოთხოვნათა გათვალისწინება (საკვალიფიკაციო, საზოგადოებრივი, კვლევითი და დასაქმების ბაზრის) და უზრუნველყოფა, რომელთა საშუალებით კურსდამთავრებული შეძლებს თავისი პირადი და საზოგადო მიზნები ადვილად დაუკავშიროს ტექნოლოგიურ განვითარებას და განსაზღვროს თავისი მთავარი როლი თანამედროვე სამყაროს მოდერნიზაციის პროცესში;

ინდიკატორი:

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- როგორც კურსდამთავრებულთა, ასევე დასაქმებულ სტუდენტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი;

- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი;
- მოლაპარაკებები და თანამშრომლობა ალტერნატიული აკრედიტაციის განხორციელებისათვის;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული შესაბამისი ცვლილებები;

1.2.2. უნივერსიტეტის როლის გაზრდა სწავლების და კვლევის საშუალებით, შესაბამისი პასუხისმგებლობის გადაცემით, ხელი შეუწყოს საზოგადოებას თანამედროვე მოთხოვნებისადმი ადაპტირებაში;

ინდიკატორი:

- სხვადასხვა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები;
- სწავლების თანამედროვე მეთოდები და საშუალებები;
- ერთმანეთისაგან სწავლების მექანიზმის გამოყენების ინტენსივობა;
- ინოვაციური და სწავლების ახალი მეთოდების დანერგვის და გამოყენების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- აკადემიური პერსონალისა და თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლების ღონისძიებები;
- აკადემიური მობილობის მაჩვენებლები;

1.2.3. ცოდნის გავრცელების სასაზღვრო ბარიერების, პანდემიების და სხვა წინააღმდეგობების/საფრთხეების დაძლევის და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ადაპტაცია და განვითარება;

ინდიკატორი:

- ელექტრონული სწავლების ეფექტური და ქმედითი სისტემების გამოყენება;
- ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ENQA-ს, EADTU, სხვადასხვა პროექტების (SEQUENT, TESLA), პარტნიორი და სხვადასხვა დასავლური უნივერსიტეტების ელექტრონული სწავლების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება;
- COVID-19 პანდემიის პირობებში შიდა და გარე რესურსების ეფექტური მექანიზმები;

1.2.4. თანამედროვე შრომის და დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი პროგრამების დამატება

ინდიკატორი:

- შრომის ბაზრის კვლევის შედეგები;
- კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- შესაბამისი სკოლის საბჭოს და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები;

1.3. სტრატეგიული მიზანი - საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

განსახორციელებელი ამოცანები:

1.3.1. ეროვნულ და უცხოურ უნივერსიტეტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად თანამშრომლობის ოპტიმიზაცია, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების გაფართოება;

ინდიკატორი:

- უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები;
- სტუდენტების გაცლით პროგრამებში მონაწილეობის მაჩვენებელი;
- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მონაწილეობა უცხოეთის უნივერსიტეტების სხვადასხვა აქტივობებში (სემინარები, საჯარო ლექციები და სხვა);
- უცხოელი სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული უცხოელი სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- უცხოელი პროფესორების უშუალო ჩართულობა აკადემიურ და კვლევით პროცესში;
- უცხოეთის უნივერსიტეტებიდან GAU-ში მიღებული უცხოელი აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მიერ ორგანიზებული სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებები;
- უცხოეთის უნივერსიტეტებთან ერთად განხორციელებული პროექტები (ტემპუსი, ერასმუს მუნდუზი, ერასმუს + ის პროექტები, ქვეყნის შიგნით მოზიდული თანხების ფარგლებში სტუდენტთა კვლევებში მონაწილეობა);

1.4. სტრატეგიული მიზანი - მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობა

განსახორციელებელი ამოცანები:

1.4.1. უნივერსიტეტში არსებული სერტიფიცირებული კურსების მოდერნიზაცია და გაფართოება

ინდიკატორი:

- უწყვეტი განათლების ხელშეწყობის (სასერტიფიკატო კურსების) მართვის სტრუქტურის არსებობა;
- სასერტიფიკატო კურსების კურსდამთავრებულთა და მსმენელთა კმაყოფილების მაჩვენებელი;
- სასერტიფიკატო კურსების პარტნიორ სუბიექტებთან ერთად განხორციელება;
- ახალი სასერტიფიკატო პროგრამების დამატება;

1.4.2 სასერტიფიკატო სისტემის ოპერირება და განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების და საგანმანათლებლო სექტორის ურთიერთკავშირის რეალიების გათვალისწინებით, ახალი პროგრამების/კურსების დამატების გზით.

ინდიკატორი:

- სასერტიფიკატო კურსების სახეობრივი მაჩვენებელი;
- სასერტიფიკატო კურსების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- სასერტიფიკატო კურსების მსმენელთა რაოდენობა;

- სასერტიფიკატო კურსებზე მოწვეული მაღალი რანგის ექსპერტების და პრაქტიკოსი სპეციალისტების რაოდენობა;

1.4.3 საკუთრივ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და თანამშრომლებისათვის შემდგომი პროფესიული და პიროვნული განვითარებაზე ორიენტირებული შესაბამისი აქტივობების ორგანიზება.

ინდიკატორი:

- პროფესიული და პიროვნული განვითარების ღონისძიებებში მონაწილე მსმენელთა რაოდენობა;
- პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების ინტენსივობის მაჩვენებელი;
- აკადემიური პერსონალის და თანამშრომელთა ინტერესის შესაბამისი კურსების, მასტერკლასების და სხვა აქტივობების მაჩვენებლები;

1.5 სტრატეგიული მიზანი - პროფესიული უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიური სრულყოფა და გაძლიერება

განსახორციელებელი ამოცანები:

1.5.1. საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, უცხო ენის/ენების, მათ შორის პროფესიული ინგლისური ენის სწავლების მუდმივი მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი სრულყოფის მონიტორინგის ღონისძიებები.

ინდიკატორი:

- უცხო ენის/პროფესიული ინგლისურის სწავლების მეთოდოლოგიური და შინაარსობრივი სრულყოფისა და მონიტორინგის ღონისძიებები;
- უცხო ენოვანი პროგრამების/ პროგრამების უცხოენოვანი კომპონენტების სრულყოფა და განვითარება;
- საგანმანათლებლო პროგრამებში შეთავაზებული უცხოენოვანი კურსების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- უცხოენოვან პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- უცხოენოვანი სასწავლო-სამეცნიერო ხასიათის რესურსების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- უცხოელი ლექტორების მიერ ჩატარებული ლექციები, სემინარები და სხვა სახის სასწავლო, კვლევითი და შემეცნებითი ღონისძიებები;

1.6 სტრატეგიული მიზანი - სწავლის ხარისხის მუდმივი მონიტორინგი

განსახორციელებელი ამოცანები:

1.6.1.სასწავლო პროცესის გაძლიერება და მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება

ინდიკატორი:

- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, ლექტორების გამოკითხვის შედეგები;

- სასწავლო პროცესის შეფასება;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის განახლება;

1.6.2. სწავლის შედეგების მიღწევის მაჩენებლების ზრდა

ინდიკატორი:

- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, ლექტორების გამოკითხვის შედეგები;
- სწავლის შედეგების მიღწევის პერიოდული შეფასება;
- სამიზნე ნიშნულების გამოკვეთა;

1.6.3. სწავლების ხარისხის მაჩვენებლების გაძლიერება

ინდიკატორი:

- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, ლექტორების გამოკითხვის შედეგები;
- ლექტორების შეფასება;

1.7 სტრატეგიული მიზანი - მაღალი ხარისხის უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის და ჩართულობის ხელშეწყობა და გაუმჯობესება პანდემიის ვითარებაში;

განსახორციელებელი ამოცანები:

1.7.1. ონლაინ სწავლების გამოცდილების გაუმჯობესება და პანდემიური მართვა;

ინდიკატორი:

უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების კოორდინირებული მუშაობა და ეფექტური ონლაინ სწავლების საუნივერსიტეტო ტექნიკური მხარდაჭერა (ეფექტური წვდომა ონლაინ პლატფორმებზე, საოფისე მხარდაჭერა და ტექნიკური განვითარება);

2. პრიორიტეტი - კვლევითი საქმიანობა

სტრატეგიული პერიოდისთვის უნივერსიტეტის პრიორიტეტებად გამოისახა კვლევითი გარემოს მხარდაჭერა და იმ თანამედროვე სტანდარტების დანერგვისათვის ხელშეწყობა, რომლებიც კვლევით საქმიანობას წაეყენება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების და კვლევების მეთოდოლოგიური მოთხოვნების თვალსაზრისით.

ერთის მხრივ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარების და მეორეს მხრივ, ქვეყანაში კვლევითი საქმიანობის დაფინანსების და მხარდაჭერის არსებული არათანაბრობის რეალობიდან გამომდინარე, უნივერსიტეტმა მომდევნო სტრატეგიულ პერიოდში მიზნად დაისახა კვლევითი საქმიანობის მოდერნიზაცია, ადექვატური და შედეგიანი სამეცნიერო-კვლევითი პოლიტიკის მხარდაჭერისა და წარმოების გზით. ინსტიტუცია ერთის მხრივ, შიდა და გარე რესურსის მობილიზების გზით ყველანაირად შეუწყობს ხელს არსებული რეალობის ფარგლებში განახორციელოს მისი მისწრაფება აწარმოოს ისეთი სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა, რომლითაც წვლილს შეიტანს ეკონომიკურ, სოციალურ,

კულტურულ და სხვა სახის ინოვაციურ განვითარებაში. მეორეს მხრივ, მოახდენს ამ ტიპის საქმიანობის და მისი შედეგების ინტეგრირებას უნივერსიტეტის სასწავლო საქმიანობაში, რითაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის მას როგორც ახალგაზრდობის, ისე სხვა სოციო-ეკონომიკური აგენტებისათვის.
წინამდებარე სტრატეგიული გეგმის მაგისტრალია იმ ფილოსოფიის გაზიარება, რომ „სინერგია სწავლებასა და კვლევას შორის შიძლება განვიხილოთ, როგორც ხარისხისა და ეფექტიანობის ერთობლივი გაძლიერება: სწავლა უნდა ასოცირდეს კვლევის დამატებით ღირებულებასთან; თავის მხრივ, კვლევა უნდა ასოცირდეს დამატებული ღირებულების სწავლებასთან.“

2.1. სტრატეგიული მიზანი - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და გაფართოება

განსახორციელებელი ამოცანები:

2.1.1.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არსებული საუნივერსიტეტო სტანდარტების განვითარება, მინიმალური საუნივერსიტეტო სტანდარტის დადგენით კვლევითი სუბიექტების აკადემიური თავისუფლებისა და ავტონომიურობის ხელშეწყობა.

ინდიკატორი:

- საუნივერსიტეტო კვლევითი სტრატეგია;
- სკოლის დებულებები;
- სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების დებულებები;
- კვლევითი სტრატეგიისა და სტანდარტების იმპლემენტაციის მაჩვენებლები;

2.1.2. შესრულებული კვლევითი შედეგების ხარისხის ამაღლება და მონიტორინგი

ინდიკატორი:

- აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა (გამოქვეყნებები, კვლევითი პროექტები, სხვა სამეცნიერო აქტივობები);
- აკადემიური პერსონალის, ახალგაზრდა მკვლევარების და კვლევითი კომპონენტის განმახორციელებელი პირებისათვის შესაბამის ბაზებსა და მათ გამოყენებაზე ინფორმაციის მიწოდება, ტრენინგების ორგანიზება;
- კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები;
- კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმები;

2.1.3. აკადემიური კეთილსინდისიერების და აკადემიური თავისუფლების სტანდარტების განმტკიცება და უზრუნველყოფა.

ინდიკატორი:

- უნივერსიტეტის კვლევის სტრატეგია;
- კეთილსინდისიერების სტრატეგია;
- პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფა;

- პლაგიატის წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებები (ცნობიერებისაკენ მიმართული აქტივობები/ღონისძიებები);

2.1.4. უნივერსიტეტის სამეცნიერო რესურსის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს სხვადასხვა დონის და მასშტაბის გამოწვევებზე ორიენტირებული კვლევების განხორციელებაში.

ინდიკატორი:

- უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის და ინსტიტუტების კავშირების მაჩვენებელი;
- კვლევის და კომერციალიზაციის სტრატეგია;
- კვლევების განხორციელების ფინანსური მხარდაჭერა;
- შიდა და საერთაშორისო წყაროებიდან დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ ინფორმირება და მხარდაჭერა;

2.1.5. კვლევითი პროექტების ინიცირების და კვლევაში მონაწილეობის მოტივაციის გაძლიერება

ინდიკატორი:

- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის სამუშაო აღწერილობა და მათი შეფასების წესი;
- კვლევის შიდა დაფინანსების მზარდი მაჩვენებლები;
- კვლევისთვის გარე რესურსების მოძიების ხელშემწყობი მექანიზმები;
- შიდა საუნივერსიტეტო რესურსების მოპოვების მექანიზმები;

2.1.6. ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზების გაძლიერება და მათი გამოყენების წახალისება

ინდიკატორი:

- საერთაშორისო ელექტრონული ბაზები;
- გამოყენების სტატისტიკა;

2.2. სტრატეგიული მიზანი - სამეცნიერო-კვლევითი შედეგების გამოყენებითი მნიშვნელობის გაზრდის, კვლევის კომერციალიზაციის და გავრცელების მიზნით კონტაქტების გაზრდა კერძო, სამთავრობო და არასამთავრობო, სხვა არა საუნივერსიტეტო ცენტრებთან (სუბიექტებთან).

განსახორციელებელი ამოცანები:

2.2.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო–კვლევითი ცენტრების ხელშეწყობა აწარმოონ ერთობლივი სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა შესაბამის ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან

ინდიკატორი:

- უნივერსიტეტს, სკოლებს, კვლევით ინსტიტუტებს, კვლევით ჯგუფებს და სხვა კომერციულ და არაკომერციულ სუბიექტებს შორის გაფორმებული მემორანდუმი/ხელშეკრულება;

- აღნიშნული ტიპის კვლევებში ჩართული მკვლევარების სტატისტიკური მაჩვენებელი;
- ამ მიმართულებით განხორციელებულ კვლევებში ჩართული სტუდენტთა რაოდენობის სტატისტიკური მაჩვენებელი;

2.2.2.სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ახალი და ნოვატორული ხერხების გამოყენება და მათი საშუალებით დისციპლინათაშორისი მოკლევადიანი სამეცნიერო ჯგუფების და კლასტერების შექმნის ხელშეწყობა

ინდიკატორი:

- კვლევის განხორციელებისა და მხარდაჭერის საუნივერსიტეტო რეგულაციები;
- დისციპლინათაშორისი კვლევების მაჩვენებლები;
- დარგთაშორისი და დისციპლინათაშორისი აქტივობები;

2.2.3. პროექტების ფარგლებში, არსებული კვლევითი ინსტიტუტების და სამეცნიერო ჯგუფების ხელშეწყობა, რაც უნივერსიტეტს საშუალებას მისცემს დროული და ადექვატური რეაგირებისათვის დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში პრობლემური საკითხების და თემების მიმართ

ინდიკატორი:

- უნივერსიტეტის კვლევის სტრატეგია;
- შესაბამისი სტრუქტურების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- მეცნიერთა და მკვლევართა მხარდაჭერის ღონისძიებები;
- COVID-19 და სხვა საფრთხეებთან დაკავშირებული განხორციელებული კვლევები;

2.2.4. აკადემიური კვლევის მნიშვნელობის და საჭიროების, მეცნიერების და კვლევის პოპულარიზაცია.

ინდიკატორი:

- საზოგადოების ფართო წრეებისათვის და სხვადასხვა სოციალური აგენტებისთვის აკადემიური კვლევის ღონისძიებები;
- ფართო საზოგადოებისა და ახალგაზრდობაში მეცნიერების პოპულარიზაციის ღონისძიებები;

2.2.5. საზოგადოების სამოქალაქო, ეკონომიკური, ინტელექტუალური და კულტურული ზრდის მხარდასაჭერად უნივერსიტეტის მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენების უზრუნველყოფა;

(უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების ოქმი #44, 17.02.2021)

ინდიკატორი:

- „ყველასთვის ღია“ საგანმანათლებლო, შემოქმედებითი თუ კულტურული ღონისძიებები;
- უნივერსიტეტის პერსონალის მხარდაჭერა საექსპერტო საქმიანობის განსახორციელებლად;
- უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები;
- უნივერსიტეტის პერსონალის მიერ ჩატარებული სხვადასხვა საჯარო აქტივობები;
- სამეცნიერო კვლევითი შედეგების საზოგადოებისათვის გაცნობის მექანიზმები;

2.3. სტრატეგიული მიზანი - სამეცნიერო კვლევითი და სასწავლო პროცესის მაქსიმალური ინტეგრაციის ხელშეწყობა

განსახორციელებელი ამოცანები:

2.3.1. კვლევითი კომპონენტების გაძლიერება პირველი და მეორე საფეხურის პროგრამებისთვის

ინდიკატორი:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგი და შედეგები;
- სტუდენტური კონფერენციების, სემინარების და სხვა ღონისძიებების რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- სტუდენტური ნაშრომების/კვლევების და სხვა აქტივობების რაოდენობრივი მაჩვენებლები თითოეული საფეხურის პროგრამისათვის;
- ერთობლივი სამაგისტრო აკადემიური ხარისხის მინიჭება;
- სტუდენტური სამეცნიერო-კვლევითი და სხვა მსგავსი აქტივობებისათვის გაწეული ხარჯები;

2.3.2. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების და სადოქტორო კვლევების ხარისხის ამაღლება;

ინდიკატორი:

- დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა;
- დოქტორანტთა რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- დოქტორანტთა და დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

2.3.3. კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების და შეფასების სისტემის გაუმჯობესება;

ინდიკატორი:

- ხარისხის კონტროლის მექანიზმები და ყოველწლიური შეფასების შედეგები;
- კვლევის და მისი შედეგების საკითხების რეგულაციები მარეგულირებელ დოკუმენტებში; კვლევა სამივე დონეზე;
- სამეცნიერო რესურსის პროდუქტულობის შეფასების მექანიზმი;
- დოქტორანტურის და სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების გამოკითხვის მაჩვენებლები;
- კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები;

2.3.4. კვლევის შედეგების და კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის ინტეგრირება უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში

ინდიკატორი:

- ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული მეცნიერის და მკვლევარის რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- ერთობლივი კვლევების ფარგლებში კვლევაში მონაწილე ექსპერტების მონაწილეობა სასწავლო პროცესში;
- საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო, საკონფერენციო თემების ხელმძღვანელობა;

2.4. სტრატეგიული მიზანი - კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა

განსახორციელებელი ამოცანები:

2.4.1. სამეცნიერო-აკადემიური პერსონალისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების ხელშეწყობა

ინდიკატორი:

- უნივერსიტეტში და ქვეყნის მასშტაბით GAU-ს სამეცნიერო კადრების მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო და კვლევით ღონისძიებებში;
- GAU-ს აკადემიური და სამეცნიერო კადრების მონაწილეობა საზღვარგარეთ ორგანიზებულ სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში;
- უცხოეთის უნივერსიტეტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
- კვლევის მხარდაჭერისა და განვითარების სამსახური;
- საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური;
- სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციები;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული საერთაშორისო ბაზები და მათი გამოყენების მაჩვენებელი;

2.5. სტრატეგიული მიზანი - კვლევითი საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველყოფა პანდემიური და სხვა რისკების კვლევითი მენეჯმენტის მხარდაჭერის გზით;

განსახორციელებელი ამოცანები:

2.5.1. კვლევითი ჯგუფების მიერ კვლევითი საქმიანობის ონლაინ ადაპტაცია და ჰიბრიდული მეთოდის გამოყენება;

ინდიკატორი:

ონლაინ რესურსების ინტენსიფიკაცია და მცირე ჯგუფებში მუშაობა (სამაგიდო კვლევებისა წარმოება, კოლაბორაციული კვლევები და ინფორმაციის გაცვლა პროფესორ-მასწავლებლებს შორის როგორც ონლაინ ასევე ოფლაინ).

3. პრიორიტეტი - სტუდენტური ცხოვრებისა და კარიერული სერვისების ეფექტური სისტემის მხარდაჭერა და გაძლიერება

უნივერსიტეტისათვის სტუდენტი მთავარი ღირებულებაა. სტუდენტური ცხოვრების მხარდაჭერისა და მათი მომავალი კარიერისადმი მიდგომების, მათ კარიერაზე ზრუნვის მთავარი ფილოსოფია მდგომარეობს იმ გაგებასა და აღიარებაში, რომ დღევანდელმა სტუდენტმა თანამედროვეობის ხვალინდელი პრობლემები და ამოცანები უნდა გადაჭრას.

3.1. სტრატეგიული მიზანი - უმაღლესი განათლება და დასაქმება

განსახორციელებელი ამოცანები:

3.1.1. პროფესიული გამბედაობისა და სამუშაო კომპეტენციების უნარების გაღრმავება

ინდიკატორი:

- სტუდენტების სხვადასხვა კონკურსებსა და სტაჟირებებში მონაწილეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი ;
- სტუდენტების სხვადასხვა კონკურსებსა და სტაჟირებებში წამახალისებელი ღონისძიებების რაოდენობა;
- სტაჟირებებისა და კონკურსების შესახებ სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმები;
- პრაქტიკოსებთან და ექსპერტებთან შეხვედრების შესაძლებლობები და რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- ექსპერტების, პრაქტიკოსების და საზოგადო მოღვაწეების მიერ ჩატარებული საჯარო ლექციებისა და მასტერკლასების რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- დასაქმების ბაზრის კვლევის შედეგები;

3.1.2. მეწარმეობის სულისა და გამოცდილების კულტივირება

ინდიკატორი:

- საგანმანათლებლო პროგრამებში შესაბამისი კომპონენტის გაძლიერება;
- იურიდიული კლინიკა;
- საბანკო სექტორთან გაფორმებული მემორანდუმები;
- თვითდასაქმებისათვის აუცილებელი კომპეტენციების შესაბამისი სასწავლო კურსების შემუშავება და ინტეგრირება სასწავლო პროგრამებში;
- შესაბამის სასწავლო კურსებში მიზანშეწონილი თემატიკის დამატება;

3.1.3. თვითდასაქმების ხელშემწყობი მექანიზმების განვითარება

ინდოკატორი:

- სასერტიფიკატო კურსების სიტემა;
- ბიზნეს ინკუბატორები;
- ბიზნეს სტრატაპებთან და ბიზნეს აქსელერატორებთან თანამშრომლობა;
- სხვადასხვა სტარტაპებთან თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები;
- სტუდენტთა წახალისების ღონისძიებები სტარტაპების შესახებ ან სტარტაპების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის;
- მცირე და საშუალო ბიზნესში ჩართული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- წამახალისებელი, დამხმარე და საინფორმაციო საშუალებების რაოდენობრივი მაჩვენებელი;

3.2.4. სტუდენტების კვლევითი გარემოსა და სასწავლო პროცესის მართვის ლოგიკურ და მჭიდრო ნაწილებად განვითარების ხელშეწყობა;

ინდიკატორი:

- სტუდენტური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სასწავლო პროგრამების შედგენა-განვითარებაში;
- სტუდენტური სამეცნიერო აქტივობების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- სტუდენტური სამეცნიერო-შემეცნებითი შინაარსის კლუბები და გაერთიანებები;
- პროფესორისა და სტუდენტის ერთობლივი კვლევითი საქმიანობა;

3.2. სტრატეგიული მიზანი - სტუდენტური ადაპტაციისა და საუნივერსიტეტო ცხოვრების მუდმივი განვითარება და მხარდაჭერა;

განსახორციელებელი ამოცანები:

3.2.1. სტუდენტთა ჩართულობის მოტივაციის გაზრდა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში

ინდიკატორი:

- სტუდენტთა ინფორმირების მექანიზმები;
- სტუდენტთა წახალისება და მხარდაჭერის მექანიზმები და ღონისძიებები;
- სტუდენტთა გარე საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართვა და მათში მონაწილეობის თანასწორობის მაჩვენებლები;
- სტუდენტთა დასაქმება სტუდენტური სერვისების განმახორციელებელ ინფრასტრუქტურაში;
- GAU PR კლუბის საქმიანობა და მისი შედეგები;
- სტუდენტური ელჩების ინსტიტუტი და მისი საქმიანობის შედეგები;
- GAU ბენდი და დასი;

3.2.2. სტუდენტის ჩართულობის გაზრდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში

ინდიკატორი:

- სტუდენტის როგორც: ინფორმაციის წყაროს - ექსპერტის - პარტნიორის სისტემის განვითარება და ეფექტური გამოყენება;
- PDCA სისტემის ფარგლებში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- სტუდენტთა უკუკავშირის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- სტუდენტური ჯგუფები და გაერთიანებები;
- სტუდენტის ჩართულობა მართვისა და შეფასების ინსტიტუალიზებულ მექანიზმებში და აქტივობებში;

3.2.3. მატერიალური, ფინანსური და ინფორმაციული რესურსების გაძლიერება რაც მიმართული იქნება სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად;

ინდიკატორი:

- სტუდენტთა მრავალფეროვნების და მათი თანასწორობის მექანიზმების არსებობა;
- სტუდენტთა შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- სტუდენტთა შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებებისთვის გაწეული ხარჯების რაოდენობა;

- კულტურათაშორისი სტუდენტური ღონისძიებების მათზე გაწეული ხარჯების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- უცხოელი სტუდენტების კულტურული და სხვა სახის ღონისძიებები დაფინანსების რაოდენობრივი მაჩვენებლები;

3.2.4. სტუდენტთა უფლება-მოვალეობების და თავისუფლებების სისტემის მუდმივი სრულყოფა და მხარდაჭერა;

ინდიკატორი:

- GAU-ს მარეგულირებელი დოკუმენტები;
- სტუდენტური ომბუდსმენი;
- სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- GAU-ს ეთიკის კოდექსი;
- სტუდენტური ომბუდსმენის ანგარიში;

3.2.5. სტუდენტთა საერთაშორისო კომუნიკაციისა და ხელმისაწვდომობის გაძლიერება

ინდიკატორი:

- GAU-ს საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურული ერთეულები;
- GAU-ს საერთაშორისო ურთიერთობების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უცხოურ უნივერსიტეტებთან გაფორმებული შეთანხმებები (ხელშეკრულებები, მემორანდუმები);
- სტუდენტთა საერთაშორისო კომუნიკაციის რაოდენობრივი მაჩვენებელი;

3.2.6. იმ იდეალების დანერგვა და განმტკიცება რაც უზრუნველყოფს GAU-ში მრავალფეროვანი, ყველასთვის თანასწორი და ინკლუზიური გარემოს შექმნას და პატივისცემას;

ინდიკატორი:

- GAU -ს მარეგულირებელი დოკუმენტები;
- GAU- ს ეთიკის კოდექსი;
- სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- სტუდენტური სერვისების ინფრასტრუქტურა;
- უცხოელ და ადგილობრივ სტუდენტთა მასობრივ-კულტურული და სპორტული ღონისძიებების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- უცხოელ სტუდენტთა კულტურისა და ტრადიციების პატივისცემისა და მხარდაჭერის ღონისძიებებისა და აქტივობების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- უცხოელ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მაჩვენებელი;

3.2.7. სოციალურად დაუცველი, სხვა მოწყვლადი ჯგუფების და წარჩინებული სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარება

ინდიკატორი:

- სხვადასხვა სოციალური დახმარებების სისტემის არსებობა;
- დახმარებებსა და შეღავათებზე დახარჯული ფულადი სახსრების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- წამახალისებელი ღონისძიებების რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებლები;

3.3. სტრატეგიული მიზანი - სტუდენტური ცხოვრების და ჩართულობის პერმანენტული ადაპტირება პანდემიურ გამოწვევებზე;

განსახორციელებელი ამოცანები:

3.3.1. სტუდენტების სწავლების პროცესში ონლაინ გამოცდილების განვითარება და მათი საჭიროებათა დაკმაყოფილება. ასევე, მათი ჩართვა სამეცნიერო-კვლევით პრაქტიკაში.

ინდიკატორი:
მოქნილი სასწავლო სისტემა და გრაფიკი, მასალებზე ონლაინ წვდომა და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ მათი კვლევითი საქმიანობაში ჩართვა. ასევე, ეფექტურად მართული დედლაინების სისტემა და სემესტრული შეფასება.

3.4. სტრატეგიული მიზანი - სტუდენტთა სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება და ეფექტური მხარდაჭერა

(უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების ოქმი #44, 17.02.2021)

განსახორციელებელი ამოცანები:

3.4.1. უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობის, როგორც „მეტი ვიდრე ქველმოქმედება“ ფილოსოფიის დანერგვა და მხარდაჭერა;

(უნივერსიტეტის პარტნიორთა კრების ოქმი #44, 17.02.2021)

ინდიკატორი:

- სტუდენტების, მთლიანად საუნივერსიტეტო საზოგადოების მხარდამჭერი მექანიზმები, განახორციელონ სოციალური იდეები და პარტნიორული შესაძლებლობები, იყვნენ ჩართული შესაბამის ქსელებში;
- სამართლის კლინიკის სტუდენტების მიერ საშუალო სკოლებში სახელმწიფოს, სამართლის და სამოქალაქო საზოგადოების საკითხებზე განხორციელებული აქტივობები;
- მედიცინი სკოლის სტუდენტთა მიერ საზოგადოების მხარდასაჭერად განხორციელებული აქტივობები.

4. სტრატეგიული პრიორიტეტი - ორგანიზაციული განვითარება

4.1. სტრატეგიული მიზანი - მისიაზე ორიენტირებული ინსტიტუციონალური სტაბილურობის და ინსტიტუციის მართვის პროცესის ეფექტურობის ხარისხის გაზრდა

განსახორციელებელი ამოცანები:

4.1.1. უნივერსიტეტის როგორც ერთიანი საგანმანათლებლო სივრცისა და საგანმანათლებლო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელი ინსტიტუციის გაძლიერება-განმტკიცება მრავალფეროვნებისა და ინტეგრაციის გზით.

ინდიკატორი:

- GAU-ს მარეგულირებელი დოკუმენტები;
- საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების, პრინციპების და ღირებულებების აღიარება და გაზიარება;
- GAU-ს თანასწორობის და ტოლერანტობის პრინციპებზე დაფუძნებული მენეჯმენტი;
- მრავალფეროვნებისა და თანაბარი შესაძლებლობების კვლევის სტრატეგია;
- მონაცემთა პერიოდული შეგროვება და მონიტორინგი;
- სასწავლო, კვლევითი, ადმინისტრაციული, დამხმარე პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომლების მრავალფეროვნების მაჩვენებლები;
- უცხოელი სტუდენტების თანაბარი ჩართვის შესაძლებლობები და მექანიზმები საუნივერსიტეტო ცხოვრებაში;
- საუნივერიტეტო საკომუნიკაციო ფორმების გამრავალფეროვნება;

4.1.2. მართვის არსებული მოდელის და პრაქტიკის ეფექტურობის მუდმივი გაზრდა, მაღალი ორგანიზაციული და აკადემიური კულტურის შექმნა და განხორციელება.

ინდიკატორი:

- მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
